სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს — მიმდინარე ხუთწლედში გადავიდეს უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სპეციალისტთა მომზადების დაგეგმვაზე გამსხვილებული მაჩვენებლების (სპეციალობათა ჯგუფების) მიხედვით, ხოლო საჭირო შემთხვევებში — კონკრეტულ სპეციალობათა მიხედვით. სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროსთან ერთად გაითვალისწინოს მთელ რიგ საინკინრო-ტექნიკურ სპეციალობებზე მიღების გეგმის შემცრება, იმ კარაულით, რომ აღმოიფხვრას სახალხო მეურნეობის დარგებში საინკინრო თანამდებობათა ზედმეტობა. შეიმუშაოს და დაუგზავნოს სსრ კავშირის სამინისტროებსა და უწყებებს და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს მათვის უმაღლესი სასწავლებლების დღის განყოფილებების კურსდამთავრებულთა განაწილების ხუთწლიანი (წლების მიხედვით დაყოფილი) ლიმიტები;

გადასინჯოს სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან, დაინტერესებულ სამინისტროებთან და უწყებებთან შეთანხმებით კადრების მომზადების სტრუქტურა და 1987/88 სასწავლო წლისათვის დაამტკიცოს იმ სპეციალობათა ახალი ნუსხა, რომლებშიც მიმდინარეობს სპეციალისტთა მომზადება უმაღლეს სასწავლებლებში, ამასთან მნიშვნელოვნად შეამციროს სპეციალობათა რაოდენობა. სახალხო მეურნეობის დარგების მოთხოვნილებათა და მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების ძირითად ტენდენციათა შესაბამისად უზრუნველყოს სპეციალობათა ნომენკლატურის მუდმივი განახლება. შეიმუ-

შაოს და შემოიღოს არა უგვიანეს 1988/89 სასწავლო წლისა ახალი საქართველოს გეგმები და პროგრამები.

დიფერენცირებული გახადოს სპეციალისტთა მომზადების შინაარსი და ვადები მათი მომავალი პროფესიული საქმიანობის — ტექნოლოგიური, საექსპლუატაციო, მმართველობითი, საკონსტრუქტორო, კვლევითი და სხვა — ხასიათის შესაბამისად;

მოამზადოს კადრები სამეცნიერო დაწესებულებების, საკონსტრუქტორო და საპროექტო ორგანიზაციების, მეცნიერებატევადი წარმოებისა და საწარ. მოთა სამეცნიერო ქვედანაყოფებისათვის მათი განაცხადების მიხედვით, მათ შორის სამეცნიერო და ტექნიკური შემოქმედების მიღრეკილების მქონე სტუდენტთა ინიდივიულურ სასწავლო გეგმებზე გადაყვინის გზით სწავლების საერთო ვადის 6 წლამდე გაგრძელებით, აგრეთვე სამეცნიერო სტაგინების ფორმით. განსაზღვროს იმ უმაღლეს სასწავლებელთა ნუსხა, რომლებშიც განხორციელდება დოკუმენტულ სპეციალისტთა მომზადება;

გაითვალისწინოს პრაქტიკულ, სახემინარო და ლაბორატორიულ მეცანეობათა ჩატარებისას სასწავლო ჯგუფის გაყოფა ორ ქვეჯგუფად;

შეამციროს დღის განყოფილებებზე სავალდებულო სააუდიტორიო მეცანეობათა რაოდენობა. მნიშვნელოვნად აამაღლოს სტუდენტთა დამოუკიდებელი მუშაობის როლი, გააუმჯობესოს მისი დაგეგმვა და ორგანიზაცია, გააძლიეროს კონტროლი და დახმარება მასწავლებელთა მხრივ. დაწესდეს, რომ სასწავლო-მეთოდიური ხელმძღვანელობა სტუდენტთა დამოუკიდებელი მეცანეობისადმი მასწავლებლის სასწავლო მუშაობის სახეობაა, რომელსაც გამოყოფა 12 საათამდე კვირაში I-III კურსებზე და 16 საათამდე — უფრო კურსებზე;

ფართოდ გამოიყენოს დისკუსიები, საქმიანი თამაშები, საწარმოო ხეტუაციათა მოდელირება და სწავლების სხვა აქტიური მეთოდები. განავითაროს სტუდენტთა სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა, როგორც სპეციალისტთა მომზადების სავალდებულო ელემენტი;

უპირატესობა მისცეს სასწავლებლად მიღებისას: საინკინრო-ტექნიკურ სპეციალობებზე — პირებს, რომელთაც აქვთ არჩეული სპეციალობის პროფილის მიხედვით საწარმოო მუშაობის გამოყიდვება, შესაბამისი პროფესიულ-ტექნიკური ან საშუალო სპეციალური განათლება, ტექნიკური შემოქმედების უნარი; პედაგოგიურ სპეციალობებზე — პირებს, რომელთაც აქვთ ბავშვებთან მუშაობის მიღრეკილება და გამოყიდვება, სკოლების პედაგოგულ რი საბჭოების, შრომითი კოლექტივებისა და კომუნიკაციის რაიონული (საქალაქო) კომიტეტების რეკომენდაციები; სასოფლო-სამეურნეო სპეციალობებზე ... უწინარეს ყოვლისა, ახალგაზრდობას, რომელმაც გამოიჩინა ინტერესი და მიღრეკილება სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში შრომისაღმი. სამეცნიერო სპეციალობებზე (მოყოლებული 1989 წლიდან) მიიღონ ქალშევილები და ჭაბუკები, რომელთაც იმუშავეს უმცროსი და საშუალო სამეცნიერო პერსონალის შემადგენლობაში არააკლებ 2 წელიწადი და აქვთ შესაბამის სამეცნიერო დაწესებულებათა რეკომენდაციები. ყველა უმაღლეს სასწავლებელში,



მიღებისას უპირატესობა მისცენ ავრეთვე თადარიგში დათხოვნდება მოსამასურებებს;

ბ) სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს — სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიასთან, სკპ ცენტრალურ კომიტეტთან ასებულ მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტთან, სკპ ცენტრალურ კომიტეტთან ასებულ საზოგადოებრივ მეცნიერებათა აკადემიასთან ერთად შეიმუშაოს სკპ ისტორიის, ფილოსოფიის, პოლიტიკური ეკონომიკასა და მეცნიერული კომუნიზმის ერთიანი სასწავლო პროგრამები, დიფერენცირებული სხვადასხვა პროფილისა და ტიპის უმაღლესი სასწავლებლებისათვის, რომლებიც უზრუნველყოფენ რევოლუციური თეორიის, როგორც მთლიანი მოძრვების, სწავლებას მისი შემაღებელი ნაწილების ერთიანობით. მოამზადოს ამ პროგრამების საფუძველზე და გამოსცეს ახალი სახელმძღვანელოები. შემოიღოს ყველა უმაღლეს სასწავლებელში შემაჯამებელი სახელმწიფო გამოცდა მარქსიზმ-ლენინიზმში;

გ) სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგარეო-ეკონომიკურ კომისიას, სსრ კავშირის მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტს, სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს — სხვა დაინტერესებულ სამინისტროებთან და უწყებებთან ერთად შეიმუშაონ და წარუდგინონ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს წინადაღებანი სოციალისტური და განვითარებადი ქვეყნებისათვის სპეციალისტთა მომზადების სრულყოფის დამატებით ღონისძიებათა შესახებ სერთაშორისო თანამშრომლობის გაფართოების, ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი ქვეყნების მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის 2000 წლამდე კომპლექსური პროგრამის პრიორიტეტულ მიმართულებათა კაღრებით უზრუნველყოფის აუცილებლობის გათვალისწინებით;

დ) სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს, სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს, სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს, უმაღლეს სასწავლებელთა მქონე სამინისტროებსა და უწყებებს — განსაზღვრონ უმაღლესი სასწავლებლების ღორის სწავლების ფორმის პროფესორ-მასწავლებელთა შემაღებელობის რიცხოვნობა სტუდენტთა კონტინგენტის მიხედვით, რაც გაანგარიშებულია მიღების გეგმებისა და განჯოებების გაუთვალისწინებლად სწავლების დაწესებული ვადის შესაბამისად, ხოლო სწავლების დანარჩენ ფორმებში — ფაქტიური კონტინგენტის მიხედვით. მასწავლებელთა რიცხოვნობის გაანგარიშების ამ მეთოდზე გადასვლა განახორციელონ თანდათანობით სწავლების კურსების მიხედვით, მოყოლებული 1988 წლიდან. დაიწყონ მეთორმეტე ხუთწლედში ერთ მასწავლებელზე სტუდენტთა საშუალო რაოდენობის თანაფარდობის თანდათანობით შემცირება, ძირითადად დაიყვანონ იგი საშუალოდ ქვეყნის მასშტაბით მეცამეტე ხუთწლედში დღის სწავლების ფორმით 1:8-მდე, საღამოს სწავლებისა — 1:15-მდე, დაუსწრებელი სწავლებისა — 1:35-მდე. სტუდენტთა მიღების გეგმების შეკვეცისას არ შეამცირონ უმაღლეს სასწავლებლებში მასწავლებელთა რაო-

დენობა იმ თანაფარდობის მიღწევამდე, რაც დაწესებულია მეცამეტე კულტურული განვითარებისათვის;

ე) სსრ კავშირის კულტურის სამინისტროს, სსრ კავშირის გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტს და სსრ კავშირის კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტს — უზრუნველყონ საბიბლიოთეკო და პოლიგრაფიული მოწყობილობის წარმოება და უმაღლესი სასწავლებლებისათვის მიწოდება სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროსთან შეთანხმებული მოცულობით და ნომენკლატურის მიხედვით.

სსრ კავშირის გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტს — სსრ კავშირის კულტურის სამინისტროსთან ერთად გაადიოდოს, მოყოლებული 1988 წლიდან, „საბიბლიოთეკო სერიის“ წიგნების ყოველწლიური ტირაჟი და გამოყოფა უმაღლეს სასწავლებელთა ბიბლიოთეკებისათვის;

ვ) სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტსა და სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს — გამოყონ სახსრები, ხოლო სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის სამინისტრომ სსრ კავშირის გამოთვლითი ტექნიკისა და ინფორმატიკის სახელმწიფო კომიტეტთან შეთანხმებით შეისყიდოს 1987 წელს სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროსათვის იმპორტული პერსონალური კომპიუტერები;

ზ) სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს, სსრ კავშირის კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტს და სსრ კავშირის ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტს — განახორციელონ მეთორმეტე ხუთწლებში სასწავლო კინოსა და ტელევიზიის ფართოდ განვითარების ღონისძიებანი. მოაწყონ უმაღლესი სასწავლებლებისათვის ჩაწერილი სასწავლო მასალის ვიდეოკასეტების გამოშვება და გაქირავება. განამტკიცონ სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს ცენტრალური ლაბორატორია „სოიუზეუზფილმის“ მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. მოაწყონ სტუდენტებისა და კადრების კვალიფიკაციის ასამაღლებელ-გადასამზადებელი სისტემის მსმენელებისათვის გადაცემები პირველ რიგში ზოგადმეცნიერულ დისციპლინებში;

თ) სსრ კავშირის შრომისა და სოციალურ საკითხთა სახელმწიფო კომიტეტს, სამინისტროებსა და უწყებებს — უზრუნველყონ სისტემატური კონტროლი სახალხო მეურნეობის დარგებში სპეციალისტთა სწორად გამოყენებისადმი. გადასინჯონ 1987 წელს იმ ხელმძღვანელ მუშავთა, სპეციალისტთა და მოსამსახურეთა თანამდებობების ნუსხა, რომლებიც უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სპეციალისტებს უნდა ეკავოთ.

სსრ კავშირის სამინისტროებსა და უწყებებს — სსრ კავშირის შრომისა და სოციალურ საკითხთა სახელმწიფო კომიტეტთან შეთანხმებით სამუშაო ადგილების ატესტაციის საფუძველზე შეიმუშაონ და დამტკიცონ 1988 წელს იმ თანამდებობათა დარგობრივი ნომენკლატურები, რომლებიც უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სპეციალისტებს უნდა ეკავოთ, შესაბამისი



თანამდებობების საერთო-დარგობრივი საკუალიფიკაციო მახასიათის შემსრულებელი მიხედვის მიხედვის შემსრულებელი მისამართის მიზანის მიხედვის შემსრულებელი განათლების სპეციალისტთა რაციონალური თანაფარდობის და უმაღლესი სასწავლებლების სპეციალისტთა ახალი ნუსხის გათვალისწინებით;

— დაწესდა, რომ:

ა) უმაღლეს სასწავლებლებით არსებულ მოსამართულებებზე მიღებიან სახალხო მეურნეობის ყველა დაზღვის მოწინავე მუშები და კოლეგიურნები, რომელთაც აქვთ ორა ნაკლებ 2 წლის მუშაობის სტაჟი, ავტო-მუვე აღნიშნული კატეგორიების ახალგაზრდობასთან გათანაბრებული სხვა პირები;

ბ) სტუდენტთა სწავლების ყოველ ეტაპზე მათი საწარმოო, პრაქტიკული შემსაცება ხორციელდება საბაზო საწარმოებთან, დაწესებულებებთან და ორგანიზაციებთან ერთად არასრული სამუშაო დღით ან არასრული სამუშაო კვირით ნაყოფიერ შრომასთან სწავლის შეთავსების პრინციპებზე, მათ შორის სამუშაო ადგილებზე, რომლებიც მაღალ პროფესიულ ისტატობას მოითხოვენ, ავტორუ ტექნიკოსთა, ინჟინერთა, ეკონომისტთა და სხვა სპეციალისტთა თა-სამდებობებზე. ას შეუკანონ სტუდენტები სამსახურების პრესო-სალის რეკორდნობაში, რომელიც აღირიცხება შრომის ნაყოფიერების ზრდის ტემპის განვარიშებაში;

გ) მატერიალური წარმოების დარგების სამინისტროები და უწყებები აუნაზღაურებენ სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს. სსრ კავშირის სამინისტროებსა და უწყებებს, რომელთაც აქვთ უმაღლესი სასწავლებლები, მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს სტუდენტთა სწავლებისათვის გაწეული იმ დანახარჯების ნაწილს, რომლებიც დაკავშირებულია სპეციალისტთა მომზადების საჭირო ხარისხის უზრუნველყოფასთან, სამინისტროთა და უწყებათა ცენტრალიზებული ფონდებია დან და რეზერვებიდან. საწარმოები (ორგანიზაციები) აუნაზღაურებენ სამინისტროებსა და უწყებებს ამ სახსრებს წარმოების, მეცნიერებისა და ტექნიკის კანკითარების ფონდიდან. ანარიცხების ოდენობა განისაზღვრება ერთი სპეციალისტის მომზადებისათვის გაწეული დანახარჯების ნაწილობრივ ანაზღაურების ნორმატივით და სამინისტროებისა და უწყებებისათვის ახალგაზრდა სპეციალისტთა ყოველწლიური განაწილების ლიმიტების საფუძველზე.

მიღებულია სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროსა და სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს წინადადება იმის შესახებ, რომ ზემოაღნიშებული ნორმატივი 1988-1990 წლებისათვის დამტკიცდეს 3000 მანეთის ოდენობით.

გადარიცხული სახსრები გამოიყენება იმ კაპიტალურ დაბანდებათა დაკავშირების წყაროდ, რომლებიც ხმარდება უმაღლესი სკოლის ობიექტების მშენებლობასა და რეკონსტრუქციის, მოწყობილობის, ხელსაწყოთა, გამოყენითი ტექნიკის საშუალებათა შეძენას. სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს დაევალა სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური

ვანათლების სამინისტროს, მოქადაგირე რესპუბლიკების მინისტრთა ქაზბეგულის, სსრ კავშირის იმ სამინისტროებისა და უწყებების წინადადებით, უწყებების ექვემდებარებით უმაღლესი სასწავლებლები, გაითვალისწინოს ზემოაღნიშვნული მინხებისათვის კამიტალურ დაბანდუბათა, სამშენებლო-სამონტაჟო და საინგრო სამუშაოთა ლიმიტები იმ სახსრების ჩათვლით, რომელთაც მიიღებენ ისინი სპეციალისტთა მოსამზადებლად დანახარჯების ნაწილობრივი ანაზღაურების წესით;

ღ) განაწილების აღვილზე სამი წლის მუშაობის შემდეგ ახალგაზრდა სპეციალისტი გაიღლის სპეციალურ ატესტაციას, რომლის შედეგების მიხედვით მას მიეცემა საკვალიფიკაცია ატესტატი. საწარმოებსა და ორგანიზაციებში უმაღლეს სასწავლებელთა მონაწილეობით ჩატარებული ატესტაციის შედეგები განიჩინდება როგორც უმაღლეს სკოლაში სპეციალისტთა მომზადების ხარისხის დიდმნიშვნელოვანი კრიტერიუმი:

ღ) საშტატო განრიგის თანამდებობანი, რომლებზეც მიმდინარე წელს მიღებულ უნდა იქნენ უმაღლეს სასწავლებელთა კურსდამთავრებულები პერსონალური განაწილების კომისიის მიმართვით, არ უნდა დაიკავონ სხვა მუშაობა. საწარმოო აუცილებლობის შემთხვევაში ამ თანამდებობებზე შეიძლება მიღებულ იქნინ მუშაკები ახალგაზრდა სპეციალისტთა დანიშვნამდე;

ღ) იმ პირებს, რომელთაც წარჩინებით დაამთავრეს უმაღლესი სასწავლებლები, თანამდებობრივი სარგობის სქემის ფარგლებში მიეცემათ უფრო მაღალი ხელფასი, რომელიც შეუნარჩუნდებათ თანამდებობრივი სარგოს პირველ შეცვლამდე საატისტაციო კომისიის გადაწყვეტილების შესაბამისად;

ზ) იმ პირებს, რომელთაც დაამთავრეს უმაღლესი სასწავლებლები და სამუშაოდ გაიგზავნენ სხვა აღვილზე საწარმოებში, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში, რომლებსაც არა აქვთ საკუთარი საბინაო ფონდი და არ ახორციელებენ საბინაო მშენებლობას, აგრეთვე არ იღებენ წილობრივ მონაწილეობას საბინაო მშენებლობაში, საცხოვრებელი ფართობით უზრუნველყოფენ სახალხო დეპუტატთა აღვილობრივი საბჭოების აღმასკომები შესაბამის საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა შუამდგომლობით სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1981 წლის 15 ივნისის № 677 დადგენილების მე-3 პუნქტით გათვალისწინებული წესით (სსრკ დადგ. კრებ., 1981 წ., № 21 მუხ. 123);

თ) საწარმოებს, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს (საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოების გარდა), აგრეთვე სახალხო დეპუტატთა აღვილობრივი საბჭოების აღმასკომებს იმ შემთხვევაში, თუ იმ პყოფნით საკუთარი საბინაო ფონდი ან დროებით უძნელდებათ საცხოვრებელი სადგომის რიგგარეშე მიეცემა, შეუძლიათ დაიქირვაონ მოქალაქეთაგან საცხოვრებელი სადგომები პერსონალური განაწილების მიხედვით სამუშაოდ ჩასულ უმაღლეს სასწავლებელთა კურსდამთავრებულებისათვის მისაცემად, ამასთან დაუმატონ ბინის ქირის დაწესებულ ზღვრულ განაკვეთებს, მაგრამ არა უშეტეს 10 მანეთისა თვეში ერთ მუშავზე;

ი) საწარმოებსა და ორგანიზაციებს შეუძლიათ მისცენ საჭირო შემთხვევებში ახალგაზრდა სპეციალისტებს თავიანთი ფონდებიდან სესხები საბინაო-სამშენებლო კოოპერატივებში შესასვლელად;



ე) იმ შემთხვევაში, თუ არ გამოცხადდებიან სამუშაოზე ან უმაღლესი დაიწყონ მუშაობა პერსონალური განაწილების ადგილზე არასაპატიო მიწეზით, აგრძელებული იქნებიან მუშაობის დაწესებული ვალის გასვლიდე შრომის დისციპლინის დარღვევის გამო ან დათხოვნილ იქნებიან არასაპატიო მიზეზით, უმაღლეს სასწავლებელთა კურსამთავრებულები აუნაზღაურებენ საწარმოებსა და ორგანიზაციებს ხარჯებს, რაც დაკავშირებულია ამ საწარმოთა და ორგანიზაციათა სახსრებით მათი სწავლის დროს სტიპენდიების გაცემისთან.

საქართველოს კა

საქართველოს სსრ

კუნტრალური კომიტეტის მდივანი

მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე

კ. პატიაშვილი

ო. ჩერქევიძე

ქ. თბილისი, 1987 წ. 2 სექტემბერი, № 478

## 40 მიცილულ-ტექნიკური პროგრესის დაჩარებაში, სპეციალისტთა ღიასთა მომზადების ხარისხის გაუმჯობესებაში უმაღლესი სასწავლებლის მეცნიერების როლის ამაღლების მიზნით და „მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩარებაში, სპეციალისტთა მომზადების ხარისხის გაუმჯობესებაში უმაღლესი სასწავლებლის მეცნიერების როლის ამაღლების შესახებ“ სკპ კუნტრალური კომიტეტისა და სსრ კაშირის მინისტრთა საბჭოს 1987 წლის 13 მარტის № 326 დადგენილების შესასრულებლად საქართველოს კპ კუნტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო აღ გ ე ნ ე ნ:

1. საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროშ, რესპუბლიკის უმაღლეს სასწავლებელთა მქონე სამინისტროებმა და უწყებებმა სკპ ხVII ყრილობის, სკპ კუნტრალური კომიტეტის 1987 წლის იანვრის პლენურის მითითებათა, უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების გარდაქმნის ძირითად მიმართულებათა შესაბამისად;

— უწრუნველყონ უმაღლესი სასწავლებლის მეცნიერების ეფექტიანობის ამაღლება, მისი წვლილის გაღიძება მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩარებაში, სოციალურ-ეკონომიკური განვითარების უმნიშვნელოვანებისა მოცავების გადაწყვეტაში, კადრების მომზადების ხარისხის გაუმჯობესებაში;

— არსებოთად ამაღლონ უმაღლეს სასწავლებლებში შესასრულებელ სა-შეცნერო-კვლევით სამუშაოთა ორგანიული დონე და აქტუალობა. გაითვალისწინონ ფუნდამენტურ გამოკვლევათა უპირატესი განვითარება, საცდელ-სა-კონსტრუქტორო და ტექნოლოგიურ სამუშაოთა მოცულობის ზრდა;

— აღმოფხვრან სერიოზული ნაკლოვანებანი უმაღლეს სკოლაშემციცავის რული კვლევის ორგანიზაციისა და განხორციელებაში. უზრუნველყოფის მიეცა ნიერო-კვლევით სამუშაოთა თემატიკის ფორმირება საზოგადოებრივი განვითარების მოთხოვნილებათა შესაბამისად, მთავარონ კვლევის გეგმების მომზადებისა და დამტკიცების პრაქტიკა, მათი ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთება. თავი მოუყარონ უმაღლეს სასწავლებელთა კოლექტივების სამეცნიერო ძალებს დიდი მეცნიერული და მეცნიერულ-ტექნიკური პრობლემების კომპლექსური გადაჭრისათვის;

— ამაღლონ უმაღლესი სასწავლებლების რექტორთა, კათედრებისა და სამეცნიერო ქვედანაყოფების ხელმძღვანელთა და კოლექტოვების პასუხისმგებლობა კვლევით და საცდელ-საკუნძუქტორო სამუშაოთა ხარისხისათვის, მიღებული შედევების სახლხო მეურნეობაში დანერგვის ორგანიზაციისათვის, აგრეთვე სასწავლო პროცესში მათი ოპერატორული გამოყენებისათვის.

2. საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრომ, საქართველოს სსრ სამინისტროებმა და უწყებებმა, რომელთაც ექვემდებარებიან უმაღლესი სასწავლებლები, უმაღლეს სასწავლებელთა რექტორებმა, ფაქულტეტებისა და კათედრების ხელმძღვანელებმა:

— განავითარონ მეცნიერული კვლევა სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის კარტინალური გაუმჯობესების ამოცანის გადაწყვეტასთან მშენდობითი კავშირურთობით. განუწყვეტილი ვამდიდრონ სასწავლო კურსების შინაარსი მეცნიერების უახლესი მიღწევებით, განახორციელონ მოქმედი სასწავლო ლაბორატორიების მოდერნიზაციისა და ახლის შექმნის სამუშაოები, მიიჩიდონ ლექციების წასაკითხად, სემინარებისა და სხვა სახის მეცადინეობათა ჩასატარებლად უმაღლესი სასწავლებლების კელევით ქვედანაყოფთა მეცნიერითანამშრომლები;

— შექმნან სტუდენტი ახალგაზრდობის სამეცნიერო-ტექნიკური შემოქმედების წარმატებით განვითარებისათვის, კათედრების მიერ შესარულებელ სამეცნიერო გამოკელევებში სტუდენტთა ფართო მონაწილეობისათვის საჭირო პირობები.

3. საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრომ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აუდგინისთან ერთად:

— უზრუნველყოს უმაღლესი სასწავლებლების საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრების მასწავლებელთა ქეტური მონაწილეობა სოციალიზმის გეგმაზომიერი და ყოველმხრივი სრულყოფის პრობლემათა კვლევაში, მსოფლიო განვითარების აქტუალურ საკითხთა შესწავლაში;

— ამაღლოს მეცნიერული ნამუშევრების ორგანიზული დონე და პრაქტიკული მნიშვნელობა, ამასთან გააძლიეროს მათი პროგნოსტიკური ხასიათი. მიიღწიოს იმას, რომ საზოგადოებამცირდნებს მუდამ ჰქონდეთ მხედველობის არეში სოციალურ-ეკონომიკური ცხოვრების ახალი მოვლენები, უზრუნველყოფნენ მათს ღრმა კვლევას, ამუშავებდნენ მეცნიერულად დასაბუთებულ რეკომენდაციებს მართვის ცენტრალური და რეგიონალური ორგანიზებისათვის;

— სრულყოს საზოგადოებათმცოდნეთა მეცნიერული შუშაობის პროცესი-მულ-მიზნობრივი დაცვების, პარტიული, საბჭოთა, სამეცნიერო კურსების შეკვეთების, საფუძველზე გამოკილევათა განხორციელების პრაქტიკაზე მუშაობაზე ფართოდ მიიჩიდოს საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრები აქტიულური თეორიული და პრაქტიკული პრობლემების გადასატრენად გათვალისწინებული მიზნობრივი კომიტეტები პროგრამების შემუშავებისა და ჩეალიზაციისათვის. მიღოთ ზომები საზოგადოებრივ მეცნიერებათა მიღწევების ცხოვრებაში დანერგვის წესის გასაუმჯობესებლად. გააძლიეროს მათი ზემოქმედება შრომელთა მარქსისტულ-ლენინური მსოფლიშიცველობის ფორმირებაზე. საზოგადოებრივ აზრზე, საპროთა საზოგადოების სულიერ ცხოვრებაზე.

4. საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტი, საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტი, საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრომ, საქართველოს სსრ მიცნილებათა აკადემიამ, საქართველოს სსრ სამინისტროებმა და უწყებებმა განუსახლერონ უმაღლეს სასწავლებლებს 1988-1990 წლებისა და 2000 წლიდე პერიოდისათვის სასურსათო, ენერგეტიკული და სხვა სახელმწიფო პროგრამების, მიცნილებისა და ტექნიკის განვითარების სახელმწიფო გეგმების, 2000 წლამდე მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის კომპლექსური პროგრამის, აგრეთვე რესპუბლიკური, დარგობრივი და რეგიონალური სამეცნიერო-ტექნიკური პროგრამების რეალიზაციის კონკრეტული დავალებანი. ამასთან გაითვალისწინონ მათი წარმატებით შესრულებისათვის საჭირო ფინანსური და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა.

5. საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტი, საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტი, საქართველოს სსრ სახმომარაგებამ, საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტრომ, საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრომ გაითვალისწინონ რესპუბლიკის ეკონომიკური და სოციალური განვითარების სახელმწიფო გეგმებისა და სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტებში უმაღლეს სასწავლებელთა კათედრებზე და სამეცნიერო-კულტო დაწესებულებებში თეორიული და საძირბო კულტურის მოღალობის კოველწლიური გაფართოება, ამასთან მხედველობაში იქნიონ, რომ მეთორმეტე ხუთწლედის დამლევისათვის იგი გადიდეს სულ ცოტა ორ-სამჩერ. უზრუნველყონ ამ მიზნებისათვის საბიუჯეტო ასიგნებათა შესაბამისი ზრდა, გამოუყონ უმაღლეს სასწავლებლებს ხელსაწყოთა და მოწყობილობის საჭირო ლიმიტები და ფონდები.

6. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტი, საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტი, საქართველოს სსრ სახმშენია და საქართველოს სსრ სახმომარაგებამ გაითვალისწინონ საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების სახელმწიფო გეგმებში, მოყოლებული მეცამეტე ხუთწლედიდან, საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროსათვის შესაბამისი სახსრების, მატერიალურ-ტექნიკური რესურსების ლიმიტებისა და ფონდების გამოყოფა უმაღლეს სასწავლებელთა სამეცნიერო ქვედანაყოფების და მეცნიეროლი კვლევის მომსახურების უმაღლესსასწავლებელთაშორისი ცენტრების ასაშენებ-

ლად, რეკონსტრუქციისა და ტექნიკური აღჭურვისათვის „მეცნიერებების განვითარება მეცნიერული მომსახურების“ დარგით.

საქართველოს სსრ სამინისტროებმა და უწყებებმა პირველ რიგში ლაპ-მაყოფილონ უმაღლეს სასწავლებელთა და მეცნიერული კვლევის მომსახურების უმაღლესასწავლებელთაშორისი ცენტრების მოთხოვნილებანი სამეცნიერო ხელსაწყოებზე, მოწყობილობაზე, საკომპლექტებელ ნაკეთობებსა და მასალებზე, აგრეთვე მიაწოდონ უმაღლეს სასწავლებლებს საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროსთან შეთანხმებული ნომენკლატურის მიხედვით პირველი დასაყენებელი პარტიებიდან ხელსაწყოთა, მოწყობილობისა და სხვა ახალი ტექნიკის ნიმუშები საჭირო ტექნიკური დოკუმენტაციითურთ.

საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრომ, სამინისტროებმა და უწყებებმა, რომელთაც ექვემდებარებიან უმაღლესი სასწავლებლები, საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებით დაუწესონ სასწავლებლებს ნედლეულის, მასალებისა და საკომპლექტებელ ნაკეთობათა მარაგის ნორმები სამეცნიერო-კვლევით და საცდელ-საყონსტრუქტორო სამუშაოთა წლიური მოცულობის თანხის 20 პროცენტიდე ოდენობით.

7. საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრომ, საქართველოს სსრ სამინისტროებმა და უწყებებმა მიიღონ ზომები იმ გამოყენებითი გამოკვლევებისა და საცდელ-საყონსტრუქტორო სამუშაოების ეფექტურობის მნიშვნელოვანი ამაღლებისათვის. რომლებსაც ახორციელებენ უმაღლესი სასწავლებლები საწარმოთა და ორგანიზაციითა ინტერესებისათვის. განვითარონ უმაღლეს სასწავლებლთა ერთობლივი მუშაობა სამინისტროებთან და უწყებებთან, გაერთიანებებთან, საწარმოებთან და ორგანიზაციებთან გრძელვადიანი კომბინებური ხელშეკრულებების და უმაღლესი სასწავლებლის მეცნიერებისა და წარმოების ინტეგრაციის სხვა ფორმების საფუძველზე, ამასთან უზრუნველყონ დიდი დარგობრივი და დარგობრივი მეცნიერულ-ტექნიკური პრობლემების გადაჭრა შემჭიდროებულ ვადებში.

უმაღლეს სასწავლებელთა, საწარმოთა და ორგანიზაციითა ხელმძღვანელებმა დააწესონ უმაღლეს სასწავლებელთა ზუსტი ვალდებულებანი და პასუხისმგებლობა გამოკვლევათა ხარისხისათვის, ხოლო საწარმო-ორგანიზაციებისა — შეკვეთილ სამუშაოთა ქტრუალობისათვის, მეცნიერული მიღწევების პრაქტიკული გამოყენების ვადებისა და მასშტაბებისათვის. შეიტანონ ეს გამოკვლევები ახალი ტექნიკის შექმნისა და დანერგვის პერსპექტიულ და მიმდინარე დარგობრივ გეგმებში, აგრეთვე გეორთიანებათა და საწარმოთა გეგმებში. სამინისტროებმა და უწყებებმა დამყარონ მეცნიერული წესრიგი სამუშაოთა მიღება-ჩაბარებაში, მათი ეკონომიკური და სოციალური ეფექტის განსაზღვრაში.

საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრომ, სამინისტროებმა და უწყებებმა, რომელთაც ექვემდებარებიან

უმაღლესი სასწავლებლები, მეცნიერებები კონტროლი გაუწიონ სამეცნიერო ხელშეკრულებათა მიხედვით სამეცნიერო-კვლევით სამუშაოთა შესრულებაზე მოთხოვნები წაუყენონ მათს მეცნიერულ-ტექნიკურ ღონეს; მეცნიერული კვლევის ორგანიზაციის დადგენილი წესის უხეში დარღვევისათვის ჩამოართვინ ასეთ სამუშაოთა განხორციელების უფლებები კათედრებს, სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებსა და უმაღლეს სასწავლებლებს.

8. უმაღლეს სასწავლებელთა რექტორებმა და პარტიულმა კომიტეტებმა:

— ამაღლონ უმაღლეს სასწავლებელთა სამეცნიერო საბჭოების, მთელი სამეცნიერო საზოგადოებრიობის, ფაკულტეტებისა და კათედრების როლი კვლევის ძირითად მიმართულებათა და ოქმატევის განსაზღვრაში, სამეცნიერო სამუშაოთა შედეგებისა და მათი შუალედური ეტაპების განხილვაში, პერსპექტიული და მიმღინარე გეგმების მომზადებისას გაითვალისწინონ რესურსების სწორად განაწილება, ამასთან მოახდინონ მათი კონცენტრაცია ციკლის „კვლევა-დამუშავება-დანერგვა“ დამამთავრებელ სტადიაზე;

— მეტი მომთხოვნელობით მიუღვნენ სამეცნიერო ხელშეკრულებებით შესასრულებელ სამუშაოთა თემატიკის შერჩევას.

9. საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრომ, საქართველოს სსრ სამინისტროებმა და უწყებებმა, რომელთაც ექვემდებარებიან უმაღლესი სასწავლებლები. სსრ კაშირის სტანდარტების სახელმწიფო კომიტეტის საქართველოს რესპუბლიკური სამმართველოს მონაწილეობით გააუმჯობესონ უმაღლეს სასწავლებლებში მიმღინარე სამეცნიერო-კვლევით სამუშაოთა მეტროლოგიური მომსახურება. შეიმუშაონ და განხორციელონ ლონისძიებანი მეთორმეტე და მეცამეტე ხუთწლედებში უმაღლეს სასწავლებელთა მეტროლოგიური ლაბორატორიების მუშაობის სრულყოფა-სათვის, დიდ უმაღლეს სასწავლებლებთან და მეცნიერული კულევის მომსახურების უმაღლეს სასწავლებელთაშორის ცენტრებთან საზომ ხელსაწყოთა და საშუალებათა სახელმწიფო შემოწმების, რემონტისა და კონტროლის რეგიონალური და სპეციალიზებული სამსახურების ქსელის შესაქმნელად.

10. საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრომ, საქართველოს სსრ სამინისტროებმა და უწყებებმა, რომელთაც ექვემდებარებიან უმაღლესი სასწავლებლები, უზრუნველყონ ფუნდამენტური კვლევის შემდგომი განვითარება უმაღლეს სკოლაში, უწინარეს ყოვლისა, უნივერსიტეტებში.

ამაღლონ უნივერსიტეტების, როგორც მეცნიერების, კულტურისა და განათლების ცენტრების, როლი. უფრო სრულად გამოიყენონ უნივერსიტეტიში ჩამოყალიბებული დიდი სამეცნიერო სკოლების აღმოჩენები და სხვა მიღწევები საძიებო და გამოყენებით სამუშაოთა გასაფართოებლად, უზრუნველყონ ამის საფუძველზე მეცნიერული მარაგნამეტი პრინციპულად ახალ ტექნიკურ გადაწყვეტილებათა შესაქმნელად, დიდმნიშვნელოვან სოციალურ და ეკონომიკურ პრობლემათა დასამუშავებლად. შეადგინონ უნივერსიტეტების მეთაურობით უმაღლეს სასწავლებელთაშორისი პროგრამები ფუნდამენტური კვლევის პრიორიტეტულ მიმართულებებში. სრულყონ უნივერსიტეტების საქმიანობა

- აყადემიური და დარგობრივი მეცნიერების, უმაღლესი სკოლისა და იურიდიკური დაწესებულებებისათვის თეორიული კადრების მოსამახადებულებური განამტკიცნ უმაღლეს სასწავლებელთა კავშირი საქართველოს სახელმწიფო
  - ნიერებათა აყადემის სამეცნიერო დაწესებულებებთან ბუნებისმეტყველებისა და საზოგადოებათმცოდნების ფუნდაციებურ პრობლემათა ერთობლივი გეგმებისა და პროგრამების, დარგთაშორისი სამეცნიერო-ტექნიკური კომპლექსების საქმიანობაში მონაწილეობის, უნიკალური სამეცნიერო მოწყობილობის გამოყენებაში გაერთიანებული კვლევითი კოლექტივების, კოოპერაციების ფორმირების საფუძველზე.

11. საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტმა, საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა, საქართველოს სსრ სახმომავარებამ, საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრომ, საქართველოს სსრ სამინისტროებმა და უწყებებმა განახორციელონ ღონისძიებანი, რომელთა მიზანია უმაღლესი სასწავლებლების მიერ დამთავრებულ სამუშაოთა დანერგვის დაჩქარება, ამიღონ მომთხოვნელობა შემსრულებელთა და შემცველთა მიმართ მეცნიერული კვლევის შედეგების ფართოდ გამოყენებისათვის.

განახორციელონ მეთორმეტე ხუთწლედში დაინტერესებული სამინისტრო-ებისა და უწყებების კაპიტალურ დაბანდებათა ხარჯზე, ხოლო მომდევნო წლებში — წილობრივ საწყისებზე საცდელ-საკონსტრუქტორო, საკონსტრუქტორო-ტექნიკური და ტექნიკოგრაფური ბიუროების ობიექტების შენებლობა.

უზრუნველყონ სამეურნეო ხელშეკრულებებით შესასრულებელ საკონსტრუქტორო-ტექნიკოლოგიურ და საცდელ-ექსპერიმენტულ სამუშაოთა მოცულობის 3-4-ჯერ გადილება.

საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრომ დამთვარებულ გამოკელევათა წარმოებაში დანერგვის ვალების შემცირებისა და მასშტაბების გაფართოების მიზნით ყოველწლიურად წარუდგინოს სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს უმაღლეს სასწავლებელთა პერსონალური მეცნიერული ნამუშევრები, რომელთა გამოყენების შეიძლება მოჰყვეს მნიშვნელოვანი სახალხო-სამეცნიერო ეფექტი, საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების წლიურ სახელმწიფო გეგმებში, სამინისტროთა და უწყებათა გეგმებში მათ შესატანად.

13. მიღებულ იქნეს ცნობად, რომ სკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1987 წლის 13 ნოემბრის № 326 დადგენილებით:

— ලාජ්‍යංලාතා:

ა) სრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს, სრ კუმუნიკაციის ფონდისთვის და სამინისტროს და სრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს — სრ კავშირის მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტთან, სრ კავშირის შრომისა და სოციალურ საკითხთა სახელმწიფო კომიტეტთან და საკავშირო პროფსაბჭოსთან ერთად შეიმუშაონ და დამტკიცონ უმაღლეს სისწავლებელთა მეცნიერულ-ტექნიკური და სოციალური განვითარების, მატერიალური წახალისების ფონდების და მს სამინისტროთა და უწყებათა ცენტრალიზებული ფონდების შექმნისა და გამოყენების წესის შესახებ, რომელთაც ექვემდებარებიან უმაღლესი სასწავლებლები;

ბ) სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს, სამინისტროებსა და უწყებებს, რომელთაც ექვემდებარებიან უმაღლესი სასწავლებლები, — დაგეგმონ, მოყოლებული 1987 წლიდან, უმაღლეს სასწავლებელთა და მეცნიერული კალევის მომსახურების უმაღლეს სასწავლებელთაშორისი ცენტრების სამეცნიეროარიშიანი საწარმოების მოვება მათ მიერ დამზადებული პროდუქციის (შესრულებული მომსახურების) თვითონარებულების 15 პროცენტამდე იღენობით;

გ) სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს — სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროსთან, სსრ კავშირის შრომისა და სოციალურ საკითხთა სახელმწიფო კომიტეტთან და საკავშირო პროფ-საბჭოსთან შეთანხმებით შეიმუშაოს და დამტკიცოს დებულება ზემომლიშვილი ფონდის შექმნისა და გამოყენების წესის შესახებ;

დ) უმაღლეს სასწავლებელთა რექტორატებსა და პარტიულ კომიტეტებს:

— შექმნან სამეცნიერო კოლექტივებში ნაყოფიერი კვლევითი მუშაობას პირობები, მაღალი პასუხისმგებლობის, ურთიერთობითოვნებლობის, პრინციპითული მეცნიერული კრიტიკის, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების მოცუნების გადაწყვეტისაღმი სახელმწიფოებრივი მიდგომის ერთარება. მიაღწიონ კელლევის მაღალ საბოლოო შედეგებს, მათი რეალურზარის გადების შემცირებას, წამოაყენონ და გადაწყვიტონ პრინციპულად ხალი, მასშტაბური ამოკანები;

— მიზანდასახულად გამოიყენონ უმაღლესი სასწავლებლების ღოქტორანტთა, ასპირანტთა შემოქმედებითი შესაძლებლობანი მეცნიერების ავანგარდულ მიმართულებებში კვლევის გასაშლელად. ჩამოაყალიბონ დიდმნიშვნეულოვან ტექნიკურ სამუშაოთა საკადორო თანხლების ჯგუფები უმაღლეს სასწავლებელთა ასპირანტებისა და კურსდამთავრებული სტუდენტებისაგან და

განაცილონ ისინი საწარმოებსა და ორგანიზაციებში, სადაც ინტერესია ეს ტექნიკა;

ე) უმაღლეს სასწავლებელთა რექტორატებს — გამოიყენოს ფუნდამენტური კვლევის განვითარებლად უმაღლეს სასწავლებლებში შექმნილი მეცნიერულ-ტექნიკური და სოციალური განვითარების ფონდის სახსრები;

ვ) შექმნას უმაღლეს სასწავლებლებში მეცნიერულ-ტექნიკური და სოციალური განვითარების ფონდი. აღნიშნული ფონდის სახსრები გამოიყენება დამტკიცებული ხარჯთაღრიცხვების მხედვით შესაბამისი მშენებისათვის გათვალისწინებულ ასიგნებათა გადამეტებით. გავრცელდეს უმაღლეს სასწავლებლებშე მატერიალური წახალისების ფონდების შექმნის ის წესი, რომელსაც ითვალისწინებს მე-6 პუნქტი სკკ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო პროფსაბჭოს 1985 წლის 22 მაისის № 462 დადგენილებისა „მეცნიერ მუშაკთა, მრეწველობის კონსტრუქტორთა და ტექნოლოგთა შრომის ანაზღაურების სრულყოფის შესახებ“ (სსრკ დადგ. კრებ., 1985 წ., № 21, მუხ. 104). ამ ფონდების გამოყენებელი ნაშთები გადადის მოძვენო წელს და უმაღლეს სასწავლებლებს არ ჩამორთმევათ;

— სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს დაცვისარი იმ სამეცნიერო-კვლევით, საცდელ-საკონსტრუქტორო და ტექნოლოგიურ სამუშაოთა დაფინანსების კრებითი გეგმების შემუშავება, რომელთაც ასრულებენ ამ სამინისტროს სისტემის უმაღლესი სასწავლებლები და სამეცნიერო დაწესებულებანი სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრების ხარჯები, აგრეთვე სამეცნიერო ხელშეკრულებებით ასეთ გამოკვლევათა შემკვეთი ორგანიზაციებისა და საწარმოების მოთხოვნილებათა შესაბამისად. ამასთან გათვალისწინოს გეგმებში ხარჯების მოცულობა, ხელფასის ფონდი და მუშაკთა რიცხოვნობა. წარუდგინოს ისინი სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს და სსრ კავშირის მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტს; სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების წლიურ სახელმწიფო გეგმებში შესატანად;

— უფლება მიეცათ:

ა) სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს — სსრ კავშირის იმ სამინისტროებისა და უწყებების, რომელთაც ეკვემდებარებიან უმაღლესი სასწავლებლები, და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების წარდგენით შექმნას და გარდაქმნას გამოყოფილი ფინანსური და შრომითი რესურსების ფარგლებში უმაღლეს სასწავლებლებში სამეცნიერო-კვლევითი სექტორები, საცდელ-საკონსტრუქტორო და საპროექტო-ტექნოლოგიური ბიუროები;

ბ) სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს — შექმნას დაინტერესებულ სამინისტროებთან და უწყებებთან ერთად უმაღლესი სასწავლებლების, ორგანიზაციებისა და საწარმოების მუშაკთაგან დროებითი კოლექტივები ყველაზე ეფექტური მეცნიერული მიღწევების კონსტრუქტორული, ექსპერიმენტული დამუშავებისა და დანერგვის დაჩქარებისათვის. გავრცელდეს აღნიშნულ კოლექტივებზე მოქმედება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1984 წლის 23 იანვრის № 86 დადგენილებისა



„დარგთაშორისი ხასიათის პერსპექტიული მეცნიერულ-ტექნიკური და მეცნიერულ-მეცნიერების გადაჭრის სამუშაოთა განსახორციელებლად შექმნილი დოკუმენტით კოლექტივების საქმიანობის უზრუნველყოფის ღონისძიებათა შესახებ“ (სსრკ დაგ. კრებ., 1984 წ., № 6, მუხ. 31);

გ) სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს, სამინისტროებსა და უწყებებს, რომელთაც ექვემდებარებიან უმაღლესი სასწავლებლები, — ცენტრალიზებული გახადონ ამ სასწავლებელთა კოლექტივების თანხმობით მეცნიერულ-ტექნიკური და სოციალური გნუითარების ფონდის სახსრების 25 პროცენტამდე და მატერიალური წახალისების ფონდის სახსრების 20 პროცენტამდე;

დ) უმაღლეს სასწავლებელთა რექტორებს — შეიტანონ, მოყოლებული 1987 წლიდან, უმაღლეს სასწავლებელთა მიერ სამეცნიერო ხელშეკრულებებით განსახორციელებელ სამეცნიერო-კვლევით და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოთა ხარჯთაღრიცხვებში გეგმიანი დაგროვება ამ სამუშაოთა ღირებულების 20 პროცენტის ოდენობით. აღნიშნული დაგროვება მთლიანად რჩება უმაღლეს სასწავლებელთა განკარგულებაში;

— ნება დაერთოთ:

ა) სსრ კავშირის სამინისტროებსა და უწყებებს, რომელთაც ექვემდებარებიან უმაღლესი სასწავლებლები, და მოკავშირე რესპუბლიკიების მინისტრთა საბჭოებს — სსრ კავშირის მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტთან და სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროსთან შეთანხმებით შექმნან, გარდაქმნან და გააუქმონ უმაღლეს სასწავლებლებში საპრობლემო სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორიები;

ბ) სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს, სსრ კავშირის სამინისტროებსა და უწყებებს, რომელთაც ექვემდებარებიან უმაღლესი სასწავლებლები, და მოკავშირე რესპუბლიკიების მინისტრთა საბჭოებს — განსახლებრონ ნუსხა უმაღლესი სასწავლებლებისა, რომლებსაც შეუძლიათ დამყარონ პირდაპირი კავშირურთოერთობა ეკონომიკური ურთიერთდაბმარების საბჭოს წევრი ქვეყნების ორგანიზაციებთან;

გ) უმაღლეს სასწავლებელთა რექტორებს:

— გამოიყენონ დროებით, 6 თვემდე ვადით, მეცნიერულ-ტექნიკური და სოციალური განვითარების ფონდის სახსრები სახელშეკრულებო სამუშაოთა ხარჯების დასაფარავად ავანსის შემოსელამდე ან დამთავრებულ სახელშეკრულებო სამუშაოთა ანაზღაურებამდე პერიოდისათვის, ფონდის შემდგომზე აღდგენით;

— მიზიდონ უმაღლეს სასწავლებელთა სამეცნიერო დაწესებულებებში სახელმწიფო ბიუგეტის სახსრების ხარჯზე დასაფინანსებელ გამოკვლევათა განსახორციელებლად და შემკვეთებოთან დადებულ სამეცნიერო ხელშეკრულებათა მიხედვით უმაღლესი სასწავლებლების პროფესორ-მასწავლებელთა შემაღენლობისა და სასწავლო-დამხმარე პერსონალის პირები, ასპირანტები და სტუდენტები საშტატო შეთავსების პირობებით და აუნაზღაურონ შესრულებული სამუშაო შეთავსებული თანამდებობის სარგოს 50 პროცენტამდე ოდენობის გადამდებარების განვითარების სამუშაოთა განსახორციელებლად შექმნილი დოკუმენტით კოლექტივების საქმიანობის უზრუნველყოფის ღონისძიებათა შესახებ“ (სსრკ დაგ. კრებ., 1984 წ., № 6, მუხ. 31);



პით, იმ პირობით, თუ ისინი წარმატებით შეასრულებენ სასწავლებულებების კურსი და სამეცნიერო საქმიანობის ყველა დავალების;

— დაწესდა, რომ:

ა) სამეცნიერო დაწესებულებებსა და ქვედანაყოფებს, სამეცნიერო-კვლევით თემებს უმაღლეს სასწავლებლებში ხელმძღვანელობენ, როგორც წესი, პროფესიონალური და მაღალკვალიფიციური მასწავლებლები;

ბ) წარდგინებანი ახალ სამეცნიერო-კვლევით ორგანიზაციათა შექმნის შესახებ, მიუხედავად მათი უწყებრივი დაქვემდებარებისა, შეაქვს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში სსრ კავშირის მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტს ან სსრ კავშირის სახმშენს მას შემდეგ, რაც სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროსთან განიხილავს უმაღლეს სასწავლებლებში ახალწარმოქმნილი მეცნიერული პრობლემების დამუშავების შესაძლებლობებს;

გ) უმაღლეს სასწავლებელთა სამეცნიეროანგარიშიანი საწარმოებისა და მეცნიერული კვლევის მომსახურების უმაღლეს სასწავლებელთაშორისი ცენტრების მოვების 25 პროცენტი შეიტანება სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავალში, ხოლო 75 პროცენტი რჩება საწარმოების (ცენტრების) განვარგულებაში და მოხმარდება მათი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარებასა და განახლების სახელმწიფო კაპიტალურ დაბანდებათა ლიმიტების გადამეტებით, აგრეთვე საკუთარი საბრუნავი სახსრების ნორმატივის ზრდის დაფინანსებას, მატერიალური წახალისების ფონდის შექმნას. გამოუყენებელი სახსრები გადადის მომდევნო წელს და უმაღლეს სასწავლებლებს არ ჩამოერთმევათ.

საქართველოს ქა

საქართველოს სსრ

ცენტრალური კომიტეტის მდივანი

მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე

გ. პატიაშვილი

ო. ჩირგვაზია



## 41 საქართველოს სს რესპუბლიკაში სტატისტიკის საქმიანობის მინისტრი გაუჯობესების ღონისძიებათა ზესახებ

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ნ ე ნ:

1. მიზანშეწონილად ჩაითვალოს გარდაიქმნას საქართველოს სსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველო საქართველოს სსრ სტატისტიკის საკავშირო-რესპუბლიკურ სახელმწიფო კომიტეტად (საქართველოს სსრ სტატ-სახელმი) — რესპუბლიკის მთავარ სააღრიცხვო-სტატისტიკურ ცენტრად.

საქართველოს სსრ სტატისტიკის სახელმწიფო კომიტეტმა 1987 წლის ბოლომდე წარმოუდგინოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სსრ კავშირის სტატისტიკის სახელმწიფო კომიტეტთან შეთანხმებული საქართველოს სსრ სტატისტიკის სახელმწიფო კომიტეტის ღებულებისა და მისი ცენტრალური აპარატის სტრუქტურის პროექტები.

შეიქმნას:

— აფხაზეთის ასს და აჭარის ასს რესპუბლიკებში — სტატისტიკის რესპუბლიკური სამმართველოები შესაბამის სტატისტიკურ სამმართველოთა და საინფორმაციო-გამოთვლითი მომსახურების სამეცნიეროანგარიშიან გაერთიანებათა ბაზაზე;

— სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში — სტატისტიკის საოლქო სამმართველო ავტონომიური ოლქის სტატისტიკური სამმართველოს ბაზაზე;

— ქალაქ თბილისში — სტატისტიკის საქალაქო სამმართველო ქალაქის სტატისტიკური სამმართველოს ბაზაზე.

გარდაიქმნას რაიონული (საქალაქო) საინფორმაციო-გამოთვლითი ცენტრები (სადგურები, განყოფილებები) სტატისტიკის რაიონულ (საქალაქო) განყოფილებებიდან.

2. საქართველოს კპ საოლქო, საქალაქო და რაიონულმა კომიტეტებმა, აფხაზეთის ასს და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების ღმისაკომიტეტმა, საქართველოს სსრ სტატისტიკის სახელმწიფო კომიტეტმა, საქართველოს სსრ სამინისტროებმა და უწყებებმა მიიღონ განუხრელ სახელმძღვანელოდ და შესასრულებლად სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1987 წლის 17 ივლისის № 822 დადგენილება „კვეყანაში სტატისტიკის საქმის ძირების გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“ (თან ერთვის).

3. საქართველოს სსრ სტატისტიკის სახელმწიფო კომიტეტმა:

— სისტემატურად სრულყოს რესპუბლიკის, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების ეკონომიკურ და სოციალურ ცხოვრებაში მიმღინარე მოვლენათა ანალიზი, ამასთან მკეთრად გააძლიეროს ყურადღება ხარისხმატიკი მასშენებლების, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის, რესურსების გამოყენების ეფექტიანობის ანალიზისადმი, პარტიის სოციალური პროგრამის შესრულების მიმღინარეობისადმი; უკეთ გა-

მოიყენოს ამ საქმეში საბიუგეტო გამოკვლევათა ქსელის გაფართოების შემცირებლებლობანი; განსაყუთობებული ყურადღება დაუთმოს სახელმწიფო უცხოური ტიკის ადგილობრივ ორგანოებში ეკონომიკური ანალიზის დონის ამაღლების უცილებლობას;

— მჯეოთად გააქტიუროს მუშაობა ანგარიშგების მოსაწესრიგებლად და მისი უტყუარობის უზრუნველსაყოფად; გააფართოოს რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონებში, სამინისტროებსა და უწყებებში ანგარიშების უტყუარობის კომპლექსურ შემოწმებათა პრაქტიკა და პერიოდულად მოახსენოს მათი შედეგების შესახებ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის წამატებათა და თვალისახვევის წინააღმდეგ ბრძოლის კომისიას; რეგულარულად გადასცეს რესპუბლიკური განეთების რედაქციებს, საქართველოს სსრ ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტს მასალები სახელმწიფო მოტყუების გამოკლენილი ფაქტების შესახებ;

— გააძლიეროს საფინანსო, საბანკო და სხვა მაკონტროლებელი ორგანოების ურთიერთმოქმედება და მოაგვიროს მათი მუშაობის კოორდინაცია სამეურნეო მართვის ყველა დონეზე წამატებათა და თვალისახვევის წინააღმდეგ საბრძოლველად;

— გადაჭრით გამოავლინოს და გააუქმნოს დადგენილი წესით დაუმტკიცებელი ანგარიშგება, ამასთან მიიჩნიოს ზედმეტი ცნობების შეგროვება როგორც ცოცხალი ორგანიზატორული საქმის შეცვლა ქაღალდმობზეველობით, ხელმძღვანელობის ბიუროებატიული მეთოდებით, რაც ხელს უშლის საწარმოთა და ორგანიზაციათა დამოუკიდებლობის განვითარებას.

კატეგორიულად ხეკრძალოთ მართვის ყველა სახელმწიფო ორგანოს, პარტიულ, საბჭოთა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს მოითხოვონ, ხოლო საწარმოებსა და ორგანიზაციებს — წარადგინონ სახელმწიფო ანგარიშგებით გაუთვალისწინებელი რაიმე ცნობები და ანგარიშები.

4. საქართველოს სსრ სამინისტროებმა და უწყებებმა მიიღონ ზომები საქეუწყებო საწარმოებსა და ორგანიზაციებში პირველადი აღრიცხვისა და ანგარიშგების დაყენების ძირული გაუმჯობესებისათვის, უზრუნველყონ ხუთ წელიწადში ერთხელ მაინც აღრიცხვის მუშავთა კვალიფიკაციის ამაღლების აზ-სებული წესის განუხრელი დაცვა.

საბუღალტრო ოღრიცხვის, საკონტროლო-სარეეიზიო მუშაობის, სახალხო შეურნების ყველა დარგის ეკონომიკური ინფორმაციის მანქანური დამუშავებისა და სტატისტიკის ხელმძღვანელ მუშავთა და სპეციალისტთა გადამზადება და კვალიფიკაციის ამაღლება ძირითადად განხორციელდეს სსრ კავშირის სტატისტიკის სახელმწიფო კომიტეტის აღრიცხვისა და სტატისტიკის ხელმძღვანელ მუშავთა და სპეციალისტთა კვალიფიკაციის სამაღლებელი დარგთაშორისი ინსტიტუტის საქართველოს ფილიალში, ამასთან არსებითად შემცირდეს, ხოლო ფილიალის მატერიალურ-ტექნიკური პაზის განმტკიცების კვალბაზე — მთლიანად შეწყდეს ამ კატეგორიის მუშავთა მიღება რესპუბლიკის სამინისტროთა და უწყებათა კვალიფიკაციის ასამაღლებელ მცირე ფაქულტეტებსა და კურსებზე.



სამინისტროებმა და უწყებებმა, სახალხო დეპუტატთა საქალაქო კოდიქტურული საბჭოების აღმასკომებმა უზრუნველყონ, რომ ყოველწლიური მუშავი ზავნონ სსრ კავშირის სტატიის სახელმწიფო კომიტეტის აღრიცხვისა და ანგარიშვების ხელმძღვანელ მუშავთა და სპეციალისტთა კვალიფიკაციის ასამაღლებელი დარგთაშორისი ინსტიტუტის საქართველოს ფილიალში აღრიცხვის, სტატიისტიკის, საკონტროლო-სარევიზიო მუშაობისა და ეკონომიკური ინფორმაციის მანქანური დამუშავების ხელმძღვანელ მუშავთა და სპეციალისტთა საერთო რაოდენობის არანაკლებ 15 პროცენტი.

5. საქართველოს კპ საოლქო, საქალაქო და რაიონულმა კომიტეტებმა, აფხაზეთის ასსრ და აქარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებმა ყოველმხრივ შეუწყონ ხელი სახელმწიფო სტატიისტიკის ორგანოების როლის შემდგომ ამაღლებას რესპუბლიკის ეკონომიკური და სოციალური განვითარების მოცავების რეალიზაციაში, მათს გადაქცევას პარტიის ეკონომიკური პოლიტიკის აქტიურ გამტარებლებად.

საქართველოს კპ  
ენტრალური კომიტეტის  
მდივანი  
კ. პატიაშვილი

საქართველოს სსრ  
მინისტრთა საბჭოს  
თავმჯდომარის მოაღვილე  
ზ. ჩხეიძე

სკპპ ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა  
საბჭო

ცენტრალური  
საბჭომარშტადი

დადგენილება № 822

1987 წლის 17 ივნისი

მოსკოვი, კრემლი

შვეჩანაში სტატისტიკის საქმის ძირეული გაუჯობების  
ღონისძიებათა ზესახებ

სკპპ ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო ღონიშ-  
ნაში. რომ ეკონომიკის მართვის რადიკალური რეფორმის თაობაში პარტიის  
XXVII ყრილობის, სკპპ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის იანვრისა და  
1987 წლის ივნისის პლენურების გადაწყვეტილებათა შესაბამისად საჭიროა  
ძირეულად გარდაიქმნას ქვეყანაში სტატისტიკის საქმე, არსებითად ამაღლ-  
დეს მისი ორგანოების როლი სახალხო მეურნეობისადმი ხელმძღვანელობის  
სისტემაში, რათა სტატისტიკა გახდეს მეურნეობის გაძლილის ახალ პირობებ-  
ში ეფუძნილი გეგმიანი მართვის ქმედითი ინსტრუმენტი.

სტატისტიკის არსებული სისტემა სრულად ერთ უზრუნველყოფს ეკონო-  
მიკისადმი ხელმძღვანელობის მოთხოვნილებებს მართვის საერთო-სახელმწი-  
ფოებრივ, დარგობრივ და რეგიონალურ დონეზე სამედო, დროული, ლრმად  
ანალიზური სტატისტიკური ინფორმაციით.

თანამედროვე მოთხოვნებს არ შეესაბამება სტატისტიკური ორგანოების  
ანალიზური მუშაობის მდგომარეობა, ბევრი მონაცემი არ ასახავს ეკონომი-  
კურ მოვლენათა არსს. გაფართოებული სოციალისტური კვლავწარმოების უმ-  
ნიშვნელოვანების პროცესების, საზოგადოებრივი განვითარების ტენდენციებისა  
და კანონმიქრებათა კვლევა ზერელუდ მიმდინარეობს, მათი ანალიზი მიზნად  
არ ისახავს ეკონომიკური ზრდის რეზერვების გამონახვას, სამეურნეო საქმია-  
ნობაში არსებულ ნაკლოვანებათა ძირითადი მიზნების გამოვლენას. უზრუნ-  
ველყოფილი არაა მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის, საწარმოო პარატის  
განახლებისა და ტექნიკური კულტურულურვის, რესურსდაზიენების, სახალხო მე-  
ურნეობაში სტრუქტურული ძრების ღრმა შესწავლა.

სერიოზულ გაუმჯობესებას მოითხოვს განმაზოგადებელ სტატისტიკურ  
მაჩვენებელთა სისტემა. არსებული ანგარიშებია ჯერ კიდევ გაბერილია, მნიშ-  
ვნელოვანწლად ორიენტირებულია მუშაობის შედეგების შეფასებისადმი  
მთლიან მიღვმაზე, ძირითადად ასახავს რაოდენობრივ მახსიათებლებს და  
არა ხარისხობრივ გარდაქმნებს. განსაკუთრებით ჩამორჩება სტატისტიკა სო-  
ციალურ და რეგიონალურ საკითხებში, არასრულყოფილია მის მიერ გამოყე-  
ნებული სოციოლოგიური კულტურის მეთოდები, უზრუნველყოფილი არაა მო-



სახლეობის საქმიანისი სტატისტიკური ინფორმაცია. გეროვნად მინისტრის და საერთაშორისო სტატისტიკური შეპირისპირებან.

ძალზე არადამატებული მიმდინარეობს ბრძოლა გაბერილი ანგარიშების, ოვალისახვევისა და წამატებების წინააღმდეგ, რაც უთიდეს ზიანს აყენებს სახალხო მეურნეობას. ბევრ შრომით კოლექტურში გერ კიდევ არ არის შექმნილი ანგარიშების დამატინებებისადმი — პარტიისა და სახელმწიფოს ფაქტოური მოტყუებისადმი საყოველთაო შეუწყნარებლობის ვითარება; პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოები პრინციპულ შეფასებას არ აძლევენ ამ მოვლენებს.

სრ კავშირის სამინისტროებსა და უწყებებს, მოკავშირე რესპუბლიკურის მინისტრთა საბჭოებს, მართვის ადგილობრივ ორგანოებს არ მიუღიათ საჭირო ზომები არეულ-დარეული აღრიცხეს დასაძლევად, მასში მკაცრი სახელმწიფოებრივი წესრიგის დასამყარებლად. კვლავ მოითხოვენ საქვეუწყებო გაერთიანებებისა და საწარმოებისაგან მრავალრიცხოვან ცნობებს, რაც გამოწვეული არაა მართვის ნამდვილი საჭიროებებით.

სტატისტიკური მასალების გამოქვეყნებისას დაუსაბუთებელი შეზღუდვების დაწესების გამო შესამჩნევად გაუარესდა საზოგადოებრიობის ინფორმირება, შესუსტდა სტატისტიკური ორგანოების პროპაგანდისტული საქმიანობა, შევიწროვდა საზოგადოებათმეცნიერული კვლევის შესაძლებლობანი.


სახელმწიფო სტატისტიკის ორგანოები სუსტად ურთიერთობისმედებენ სხვა ეკონომიკურ უწყებებთან, დაკანონებულია მართვის სისტემაში ამ ორგანოების როლი.

თანამდებროვე მოთხოვნებს არ შეესაბამება სახელმწიფო სტატისტიკის ორგანიზაციული სტრუქტურა, სტატისტიკის ორგანოთა მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, მათი კადრების შემადგენლობა და კვალიფიკაცია.

ქვეყანაში სტატისტიკის საქმის ძირებული გაუმჯობესების მიზნით სკოლისტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო აღ გ ე ნ ე:

1. განხორციელდეს სახელმწიფო სტატისტიკის გარდაქმნა ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარებაზე მისი ზემოქმედების გასაძლიერებლად და სახალხო მეურნეობისადმი ხელმძღვანელობის სისტემაში სტატისტიკის ორგანოების როლის ასამაღლებლად.

მეურნეობის გაძლიერის ახალ პირობებში სახელმწიფო სტატისტიკის უმნიშვნელოვანეს ამოცანებად ჩაითვალოს საზოგადოებაში მიმდინარე ღრმა გარდაქმნების, ეკონომიკური და სოციალური პროცესების ყოველმხრივი კვლევა მაჩვენებელთა მეცნიერულად დასაბუთებული სისტემის საფუძველზე, სახალხო მეურნეობის განვითარების ტენდენციების განზოგადება და პროგნოზი-



რება, საზოგადოებრივი წარმოების ეფექტურობის ზრდის არსებულებურობის გამოვლენა, პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო, ეკონომიკური უსაბუროებისა და ფართო საზოგადოებრიობის ღროული უზრუნველყოფა საიმედო ინფორმაციით.

ეკონომიკური ანალიზისა და სტატისტიკური ინფორმაციის სრულყოფა

2. სახელმწიფო ტატისტიკის ორგანოებმა უზრუნველყონ მკვითი შემობრუნება ხარისხობრივი მაჩვინებლებისაკენ, ანლიზური საქმიანობის გარდაქმნა და ეკონომიკური ანალიზის ხარისხის არსებითი ამაღლება, მიმართონ იგი ეკონომიკის განვითარებისა და ხალხის კეთილდღეობის ამაღლების შესაძლებლობათა დროულად და სრულად გამოვლენისათვის. თავიანთი ძირითადი საქმიანობა მოახმარონ იმას, რომ სისტემატურად შეისწავლონ და ღრმად გაააზლინონ:

სოციალურ-ეკონომიკური ჯანვითარების დაწარების პროცესები მეცნიერებულ-ტექნიკური პროგრესის, სტრუქტურული და საინკუსტიციო პოლიტიკის გარდამნის, სოციალური წარმოების ინტენსიფიკაციის, მართვის სისტემისა და მიურნეობის გაძლიერის მითოდების სრულყოფის საფუძვლზე;

ეკონომიკური პროპორციულობა თა დაბალანსება, მისი შემდგომი აღმარტობისთვის განხორციელებულ ღონისძიებათა შედეგიანობა:

— ახალ პირობებზე გადასაყვანი საწარმოების (გაერთიანებების) მიხედვით ეკონომიკური ნორმატივების დროულად და ხარისხიანად განსაზღვრის მიზნით შეიმუშაოს ეს ნორმატივები (ექსპერიმენტულად), შეუთანხმოს ისინი საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტსა და საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს და 30 სექტემბრამდე დაუგზავნოს საქვეცწყებო საწარმოებს (გაერთიანებებს);

— განახორციელოს ღონისძიებათა კომპლექსი მიმდინარე წლის IV კვარტალში გადასაყვან საქვეცწყებო საწარმოთა (გაერთიანებათა) ფინანსური მდგომარეობის განსამტკიცებლად;

— განსაკუთრებული ყურადღება დაუთმოს დარგში კონკრეტულ ორგანიზაციულ და ტექნიკურ ღონისძიებათა შემუშავებასა და განხორციელებას დაგეგმილ-ზარალიანი საწარმოების (გაერთიანებების) მუშაობის ეფექტუანობის ასამაღლებლად, იმ ვარაუდით, რომ 1990 წელს პრაქტიკულად აღმოიფხრას ზარალიანობა დარგში.

8. საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტრომ, საქვეცწყებო საწარმოებმა (გაერთიანებებმა) და ორგანიზაციებმა:

— უზრუნველყონ საგარეო-ეკონომიკური თანამშრომლობის ღინამიკური განვითარება სამეურნეო ანგარიშის, თვითდაფინანსებისა და სავალუტო თვითანაზღაურების პრინციპებზე;

— განავითარონ წარმოების ღრმა სპეციალიზაცია და კოოპერაცია ეკონომიკური ურთიერთდაბმატების საბჭოს წევრი სხვა ქვეყნების საწარმოებთან და ორგანიზაციებთან სამინისტროს საწარმოთა (გაერთიანებათა) პირდაპირი კავშირურთიერთობის საფუძველზე, აგრეთვე თანამშრომლობის ისეთი ახალი

პროგრესული ფორმები, როგორიცაა ერთობლივი საწარმოები, საერთო გაერთიანებანი და ორგანიზაციები;

— გაითვალისწინონ ეკონომიკური და სოციალური განვითარების გეგმების შემუშავებისას რესურსების პირველ რიგში წარმოართვა ექსპორტისათვის.

9. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა, საქართველოს სსრ სახმომარაგებამ, საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტრომ:

— პროდუქციის განაწილების გეგმებისა და მატერიალური ბალანსების შემუშავებისას სრული მოცულობათ გაითვალისწინონ საწარმოთა (გაერთიანებათა) წინადადებანი კაპიტალისტურ ქვეყნებში საექსპორტოდ პროდუქციის მიწოდების შესახებ, რომლებიც შემუშავდება საზღვარგარეთის ფირმებთან შეთანხმების შედეგად;

— განახორციელონ კონკრეტული ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ დარგის პროდუქციის მყარ მდგომარეობასა და ადგილს მანქანა-მოწყობილობისა და ტექნოლოგიების მსოფლიო ბაზრებზე.

10. დაწესდეს საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს საწარმოთა (გაერთიანებათა) მიერ მიღებული მოგების (შემოსავლის) განაწილების შემდეგი რიგოთობა:

— საწარმოო ფონდების, შრომითი და ბუნებრივი რესურსების გადასახდელი;

— პროცენტების გადახდა ბანკის მოკლევადიანი კრედიტისათვის;

— ანარიცები სახელმწიფო (მათ შორის ადგილობრივ) ბიუჯეტში;

— ანარიცები სამინისტროსათვის წარმოების, მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების ცენტრალიზებული ფონდის და რეზერვების შესაქმნელად.

ზემოაღნიშნული გადასახდელებისა და ანარიცების შეტანის შემდეგ საწარმოთა (გაერთიანებათა) განკარგულებაში დარჩენილი მოგება (შემოსავალი) წარიმართება დამტკიცებული ნორმატივების მიხედვით:

— წარმოების, მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების ფონდში;

— სოციალური განვითარების ფონდში;

— მატერიალური წახლისების ფონდში (საწარმოებსა და ორგანიზაციებში,

რომლებიც იყენებენ მოგების ნორმატიულ განაწილებაზე დაფუძნებულ

სამეურნეო ანგარიშის ფორმას).

საწარმოებში (გაერთიანებებში), რომლებიც იყენებენ შემოსავლის ნორმატიულ განაწილებაზე დაფუძნებულ სამეურნეო ანგარიშის ფორმას, შრომის ანაზღაურების ერთიანი ფონდი იქმნება როგორც კოლექტივის სამეურნეო-ანგარიშიანი შემოსავლის ნაშთი მისგან წარმოების, მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების ფონდის და სოციალური განვითარების ფონდის შექმნის შემდეგ.

11. დაწესდეს, რომ საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს საწარმოთა (გაერთიანებათა) საქმიანობის შეფასებისა და მათი შრომითი კოლექტივების მატერიალური სტიმულირების უმთავრესი კრიტერიუმია შეკვეთებისა და ხელშეკრულებათა შესრულება. პროდუქციის მიწოდების (სამუშაოებისა და მომსახურების) ვალდებულებათა 100 პროცენტით შესრუ-

ლებისას მატერიალური წახალისების ფონდი დიდება 15 პროცენტით, ხოლო შეუსრულებლობის ყოველი პროცენტისათვის მცირდება 3 პროცენტით; მოებში (გაერთიანებებში), რომლებიც იყენებენ შემოსავლის ნორმატიულ განაწილებაზე დაფუძნებულ სამეურნეო ანგარიშის ფორმას, შრომის ანაზღაურების ფონდი დიდება შესაბამისად 1,5 პროცენტით და მცირდება 0,3 პროცენტით. მატერიალური წახალისების ფონდის (შრომის ანაზღაურების ფონდის) გადიდება ხდება საწარმოს (გაერთიანების) სამეურნეო ანგარიშისანი შემოსავლის ან სამინისტროს ცენტრალიზებული ფონდისა და რეზერვების ხარჯზე.

12. შეიქმნას საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროში წარმოების, მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების ცენტრალიზებული ფონდი, აგრეთვე რეზერვები მოგების (შემოსავლის) ანარიცხების და საწარმოთა (გაერთიანებათა) ძირითადი ფონდების სრული აღდგენისათვის გათვალისწინებული ამორტიზაციის ხარჯზე, სტაბილური ნორმატივების მიხედვით.

აღნიშნული ფონდისა და რეზერვების სახსრები მოხმარდეს საერთო-დარგობრივი ხასიათის კონკრეტულ უმნიშვნელოვანეს სამეცნიერო-კვლევით, საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოთა და კაპიტალურ დაბანდებათა დაფინანსებას, ბანკის სესხების დაფარვასა და მათი პროცენტების გადახდას, ზარალის ანაზღაურებას და დაგვეგმილ-ზარალიან და ნაკლებრეტაბელურ საწარმოთა (გაერთიანებათა) სხვა დანახარჯების დაფინანსებას გეგმებში დაწესებული დოტაციების ლიმიტების მიხედვით მათი პროგრესული შემცირებით, საწარმოებისა (გაერთიანებებისა) და სამეურნეო ორგანიზაციებისათვის დროებითი ფინანსური დახმარების გაწევას, ბუნებადაცივით ღონისძიებათა განხორციელებას და სხვა მიზნებს.

13. გათვალისწინებულ იქნეს, რომ იმ შემთხვევაში, თუ საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს საწარმოები (გაერთიანებები) დაარღვევენ ხუთწლედის წლების მიხედვით დაწესებულ ნორმატიულ თანაფარდობას საშუალო ხელფასის ზრდასა და შრომის ნაყოფიერების ზრდას შორის, მატერიალური წახალისების ფონდის (შრომის ანაზღაურების ფონდის) შესაბამისი ნაწილი რჩება რეზერვში, რათა იგი გამოყენებულ იქნეს ნორმატიული თანაფარდობის მიღწვევისას, ან გადაირიცხება სოციალური განვითარების ფონდში კაპიტალურ დაბანდებათა დასაფინანსებლად.

14. საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტრომ საქეუწყებო საწარმოთა (გაერთიანებათა) მეურნეობის გაძლოლის ახალ ფორმებზე გადაყვანისათვის მუშაობა განახორციელოს გაშლილი პროგრამების შესაბამისად, შეიქმნას სახელმწიფო საწარმოს (გაერთიანების) შესახებ სსრ კავშირის კანონის ყოველმხრივი გამოყენებისათვის საჭირო პირობები. ამ მიზნით:

— უზრუნველყოს საწარმოთა (გაერთიანებათა) მზადყოფნა ახალ პირობებში სამუშაოდ, მათვის დასაგნაენი მაჩვენებლების, ნორმატივებისა და ლიმიტების ურთიერთდაკავშირება;

— დაწესოს კონტროლი სრული სამეურნეო ანგარიშის პირობებში სამუშაოდ საწარმოთა (გაერთიანებათა) მომზადებისადმი, გაუწიოს მათ მუდმივი ყოველმხრივი დახმარება წამოჭრილი საქითხების გადაწყვეტაში;

— უზრუნველყოს დარგის საწარმოთა (გვერთიანებათა) შერომანულებულებისა და სპეციალისტების ქრიური მონაწილეობა ამ მუშაობისათვის, ციკლი-თოდ გამოიყენოს სამეურნეო ონგარიშისა და თვითდაფინანსების პირობებში მომუშავე საწარმოთა მოწინავე გამოცდილება, განსაკუთრებული ყურადღება დაუთმოს შინასაწარმოო სამეურნეო ონგარიშის განვითარებასა და გაღრმა-კებას, წარმართოს ეკონომიკური ბერკეტები და სტიმულები მაღალი საბო-ლოო შედეგების მისაღწევად.

15. პერსონალური პასუხისმგებლობა დარგის საწარმოთ, გაერთიანებათა და ორგანიზაციათა სრულ სამეურნეო ანგარიშზე გადასაყვანად მომზადებისა და გადაყვანისათვის დაკავშიროს საქართველოს სსრ აღვილობრივი მრეწველობის მინისტრს.

15

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს  
თავმჯდომარე მ. ჩირქევია

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს  
საქმეთა მმართველი ს. რ08833

ქ. თბილისი, 1987 წ. 30 სექტემბერი, № 518



## 52 საგინაო-კომუნალური დაციურულების მუნიციპალიტეტი- ტულო სიჩბის დამტკიცების წარის უსაბეჭდო

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა. დ გ ე ნ ს:

საქართველოს სსრ ადგილობრივი საბჭოთა ორგანოების, სამინისტროებისა და უწყებების უფლებათა გაფართოებისა და პასუხისმგებლობის ამაღლების მიზნით დაწესდეს, რომ 1988 წლიდან საბინაო-კომუნალური დანიშნულების 3 მილიონ მანეთამდე სახარჯთაღრიცხვი ლირებულების ახლად დასაწყებ მშენებლობათა და 4 მილიონ მანეთამდე სახარჯთაღრიცხვი ლირებულების გარდამავალ (წინა ხუთწლედებიდან) მშენებლობათა სატრიულო სიებს დაამტკიცებენ აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოები, სამხრეთ ასეთის აკრონომიური ოლქის, ქალაქების თბილისის, ქუთაისის, რუსთავისა და ფოთის სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომები, საქართველოს სსრ სამინისტროები და უწყებები.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს  
თავმჯდომარე მ. ჩერემია

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს  
საქმეთა მმართველი ხ. რიგვავა

ქ. თბილისი, 1987 წ. 12 ოქტომბერი, № 520

## 53 რესუბლიკაში ღიზაინის უზრუნველყოფის განვითარების ღონისეი- გათა ზოსახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო აღნიშნავს, რომ სამრეწველო პროდუქციის ხარისხის ამაღლება, წარმოების კულტურის, მშრომელთა ყოფა-ცხოვრებისა და დასევნების გაუმჯობესება, მონუმენტური და დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების საშუალებებით სავნობრივი გარემოს ორგანიზაცია დიზაინის შესაძლებლობათა ფართოდ გამოყენებას მოითხოვს.

მაგრამ ამ მიმართულებით რესპუბლიკაში განხორციელებული სამუშაოები ნაცვლებეფექტიანია, იმ ორგანიზაციათა საქმიანობა, რომლებიც მხატვრულ კონსტრუირებას ეწევიან, კოორდინირებული არ არის; ეკონომიკური და სოციალურ-ულტრატული გარემოს ინტენსიური განვითარების დიდი ამოცანების გადაწყვეტისას საემარისად არაა გამოყენებული სისტემური მეთოდები.

მსოფლიო დონის შესაბამისი პროდუქციის საწარმოებლად დიზაინის შესაძლებლობათა რაც შეიძლება სრულად გამოყენების მიზნით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა. დ გ ე ნ ს:

1. შეიქმნას საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობაში დიზაინის განვითარებისა და გამოყენების პრობლემათა რესპუბლიკური საუწყებათაშორისო საკონფინაციო საბჭო და დაეკისროს მას ეკონომიკის სოციალური ორგენტაციის ამოცანების გადასაწყვეტად დიზაინის ეფექტიანი გამოყენების გზების

განსახლება და ამ დარგში ერთიანი მეცნიერულ-ტექნიკური განვითარებისა და სახალხო შემუშავება.

თამრკიდეს საქართველოს სსრ დიზაინის განვითარებისა და სახალხო მეცნიერობაში გამოყენების პრობლემათა რესპუბლიკური საუწყებათაშორისო საკონკრიტო საბჭოს თანდართული შემადგენლობა.

2. შეიქმნას საქართველოს დიზაინერთა კავშირთან საქართველოს სსრ დიზაინფონდი.

დაწესდეს რომ საქართველოს სსრ დიზაინფონდი არის საქართველოს დიზაინერთა კავშირის შემოქმედებით-საწარმოო და საფინანსო ბაზა და სარგებლობს ყველა იმ უფლებით, რომლიბაც ანუკეშს კანონმდებლობა და სხვა ნორმატიული აქტებით თვითდაფინანსებულ. თვითანაზღაურებულ ორგანიზაციებსა და საწარმოებს (გაერთიანებებს).

საქართველოს სსრ დიზაინფონდის სახსრების შექმნის წყაროები უნდა იყოს სახელმწიფო და საზოგადოებრივი შეკვეთების შესრულების, სახალხო მოხმარების საქონლის წარმოებისა და მოსახლეობისათვის გაწეული მომსახურების შედეგად მიღებული შემოსავალი, შესასვლელი და საწევრო შესატანები.

დაწესდეს, რომ საქართველოს სსრ დიზაინფონდი არის იურიდიული პირი და მისთვის დაკისრებული ფუნქციების განხორციელებისას სარგებლობს საქართველოს სსრ უწყების უფლებებით.

3. უფლება მიეცეს საქართველოს დიზაინერთა კავშირს ჩაატაროს შემკვეთ სამინისტროებთან და უწყებებთან, საწარმოებთან და ორგანიზაციებთან ერთად დიზაინის კონკურსები, ჩამოაყალიბოს მათი ყიურის შემადგენლობა და მიანიჭოს პრემიები (შემკვეთის სახსრების ხარჯზე).

#### 4. საქართველოს დიზაინერთა კავშირმა:

— შეიმუშაოს და წარმოუდგინოს განსახილეველი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წინადადებანი მაღალი ტექნიკურ-ეკონომიკური და ერგონომიკული თეოსებების სამრეწველო ნაკეთობათა შემუშავებისა და გამოშვებისათვის რესპუბლიკური პრემიების შესახებ;

— ხელი შეუწყოს შესაბამის სამინისტროებსა და უწყებებს გამოსაშვები პროდუქციის ხარისხის, ტექნიკურ-ეკონომიკური დონისა და კონკურენტუნარიანობის ამაღლების მიზნით ნაკეთობათა მხატვრულ-კონსტრუქტორული პროექტებისა და ეტალონების, იგრძელება საქართვისა და სოციალურ-კულტურული რული სფეროს მდიდარების კომპლექსური მხატვრულ-კონსტრუქტორული პროექტების შემუშავებაში.

5. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიამ, საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრომ, საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტმა განიხილოს კომპიუტერული დიზაინისათვის სისტემური და გამოყენებითი პროგრამული უზრუნველყოფის შექმნის დარგში თემატიკის სამეცნიერო-კულევით და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოთა გეგმებში შეტანის და მხატვრული კონსტრუ-

## 52 საბინაო-კომუნიკაციების დანიუშელების მშენებლობათა სამინისტრო

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო აღ გე ნ ს:

საქართველოს სსრ ადგილობრივი საბჭოთა ორგანოების, სამინისტროებისა და უწყებების უფლებათა გაფართოებისა და პასუხისმგებლობის ამაღლების მიზნით დაწესდეს, რომ 1988 წლიდან საბინაო-კომუნიკაციების დანიშნულების 3 მილიონ მანეთამდე სახარჯთაღრიცხვო ღირებულების ახლად დასაწყებ მშენებლობათა და 4 მილიონ მანეთამდე სახარჯთაღრიცხვო ღირებულების გარდამავალ (წინა ხუთწლედებიდან) მშენებლობათა სატიტულო სიებს დაამტკიცებენ აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოები, სამსრბეთ რეგიონის ავტონომიური ოლქის, ქალაქების თბილისის, ქუთაისის, რუსთავისა და ფოთის სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომები, საქართველოს სსრ სამინისტროები და უწყებები.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს  
თავმჯდომარე მ. ჩერქეზია

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს  
საქმეთა მმართველი ხ. რიგვავა

ქ. თბილისი, 1987 წ. 12 ოქტომბერი, № 520

## 53 რესპუბლიკაში დიზაინის უზრუნველყოფისა და განვითარების ღონისძიებების გათავსების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო აღნიშნავს, რომ სამრეწველო პრიდუქციის ხარისხის ამაღლება, წარმოების კულტურის, მშრომელთა ყოფა-ცხოვრებისა და დასვენების გაუმჯობესება, მონუმენტური და დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების საშუალებებით საგნობრივი გარემოს ორგანიზაცია დიზაინის შესაძლებლობათა ფართოდ გამოყენებას მოითხოვს.

მაგრამ მიმართულებით რესპუბლიკაში განხორციელებული სამუშაოები ნაკლებფექტურია, იმ ორგანიზაციათა საქმიანობა, რომლებიც მხატვრულ კონსტრუქტორებას ეწევიან, კოორდინირებული არ არის; ეკონომიკური და სოციალურ-კულტურული გარემოს ინტენსიური განვითარების დიდი ამოცანების გადაწყვეტისას საქმარისად არაა გამოყენებული სისტემური მეთოდები.

მსოფლიო დონის შესაბამისი პროდუქციის საწარმოებლად დიზაინის შესაძლებლობათა რაც შეიძლება სრულად გამოყენების მიზნით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო აღ გე ნ ს:

1. შეიქმნას საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობაში დიზაინის განვითარებისა და გამოყენების პრობლემთა რესპუბლიკური საუწყებათაშორისო საკოორდინაციო საბჭო და დაეკისროს მას ეკონომიკის სოციალური ორგენტაციის ამოცანების გადასაწყვეტად დიზაინის ეფექტური გამოყენების გზების

განსაზღვრა და მე დარგში ერთიანი მეცნიერულ-ტექნიკური გამუშავების შემუშავება.

დამტკიცდეს საქართველოს სსრ დიზაინის განვითარებისა და სახალხო მეურნეობაში გამოყენების პრობლემათა რესპუბლიკური საუწყებათაშორისო საკონრადინაციის საბჭოს თანდართული შემადგენლობა.

2. შეიქმნას საქართველოს დიზაინერთა კავშირთან საქართველოს სსრ დიზაინფონდი.

დაწესდეს, რომ საქართველოს სსრ დიზაინფონდი არის საქართველოს დიზაინერთა კავშირის შემოქმედებით-საწარმოო და საფინანსო ბაზა და სარგებლობს ყველა იმ უფლებით, რომლიბსაც ანგარიშს კანონმდებლობა და სხვა ნორმატიული აქტებით თვითდაფინანსებულ, თვითანაზღაურებულ ორგანიზაციებსა და საწარმოებს (გაერთიანებებს).

საქართველოს სსრ დიზაინფონდის სახსრების შექმნის წყაროები უნდა იყოს სახელმწიფო და საზოგადოებრივი შეკვეთების შესრულების, სახალხო მოხმარების საქონლის წარმოებისა და მოსახლეობისათვის ვაჭეული მომსახურების შედეგად მიღებული შემოსავალი, შესასვლელი და საწევრო შესატანები.

დაწესდეს, რომ საქართველოს სსრ დიზაინფონდი არის იურიდიული პირი და მისთვის დაყისრებული ფუნქციების განხორციელებისას სარგებლობს საქართველოს სსრ უწყების უფლებებით.

3. უფლება მიეცეს საქართველოს დიზაინერთა კავშირს ჩაატაროს შემკვეთ სამინისტროებთან და უწყებებთან, საწარმოებთან და ორგანიზაციებთან ერთად დიზაინის კონკურსები, ჩამოაყალიბოს მათი უსურის შემადგენლობა და მიანიჭოს პრემიები (შემკვეთის სახსრების ხარჯზე).

4. საქართველოს დიზაინერთა კავშირმა:

— შეიმუშაოს და წარმოუდგინოს განსახილველად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წინადადებანი მაღალი ტექნიკურ-ეკონომიკური და ერგონომიკული თვითსებების სამრეწველო ნაკეთობათა შემუშავებისა და გამოშვებისათვის რესპუბლიკური პრემიების შესახებ;

— ხელი შეუწყოს შესაბამის სამინისტროებსა და უწყებებს გამოსაშვები პროდუქციის ხარისხის, ტექნიკურ-ეკონომიკური ღონისა და კონკურენტუნარიანობის ამაღლების მიზნით ნაკეთობათა მხატვრულ-კონსტრუქტორული პროექტებისა და ეტალონების, აგრეთვე საწარმოო და სოციალურ-კულტურული სფეროს ობიექტების კომპლექსური მხატვრულ-კონსტრუქტორული პროექტების შემუშავებაში.

5. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიამ, საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრომ, საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტმა განიხილოს კომპიუტერული დიზაინისათვის სისტემური და გამოყენებითი პროგრამული უზრუნველყოფის შექმნის დარგში თემატიკის სამეცნიერო-კვლევით და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოთა გეგმებში შეტანის და მხატვრული კონსტრუ-



ირების დარგში თანამედროვე ტექნიკურ საშუალებათა ფართოდ უფრო ძლიერდებოდა.

6. საქართველოს სსრ სამინისტროებმა და უწყებებმა, რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებულმა გეორთიანებებმა, საწარმოებმა და ორგანიზაციებმა ფართოდ დანერგონ სამრეწველო ნაკეთობათა, სახალხო მოხმარების საქონლის, მასალებისა და ტექნოლოგიურ პროცესთა ახალი ნიმუშების ავტომატიზებული დაპროცესტული, მხატვრული კონსტრუირება და დამუშავების სხვა პროცესსული მეთოდები, ამასთან გამოიყენონ ამ მიზნით საქართველოს დიზაინერთა კავშირის შესაძლებლობანი.

საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტმა, სსრ კავშირის სტანდარტების სახელმწიფო კომიტეტის საქართველოს რესპუბლიკურმა სამმართველომ „ხარისხი-90“ პროგრამის რეალიზაციისადმი კონტროლის განხორციელების პროცესში, მათ შორის დამუშავების ეტაპზე, გილოვალისწინონ დასამუშავებელი პერსპექტიული პროდუქციის ღონის შესაბამისობა დიზაინის თანამედროვე მოთხოვნებთან. მოწინავე სამამულო და საზღვარგარეთულ გამოყოლებასთან.

7. დაწესდეს, რომ საქართველოს დიზაინერთა კავშირისა და მისი საქაუცემული საწარმო-ორგანიზაციების მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა ხორციელდება დადგენილი წესით.

საქართველოს სსრ სახელმწიფო საგვამო კომიტეტმა და საქართველოს სსრ სახმომარაგებამ განიხილონ ყოველ ცალკეულ შემთხვევაში საკითხები იმის შესახებ, რომ საქართველოს დიზაინერთა კავშირისა და საქართველოს სსრ დიზაინფონც გამოეყოთ ნედლეული. მასალები, მოწყობილობა, მექანიზმები და ავტორტრანსპორტი საქვეუწყებო ორგანიზაციებისათვის მათ მიერ წარდგენილი განაცხადების შესაბამისად.

8. საქართველოს სსრ სახმშენიშვილის, საქართველოს სსრ შრომის სახელმწიფო კომიტეტმა, სსრ კავშირის მშენებანისა და სსრ კავშირის სახმანვის საქართველოს რესპუბლიკურმა კანტორებმა, საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტმა, საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრომ, საქართველოს პროფესიონალთა რესპუბლიკურმა საბჭომ, სააეტორო უფლებათა საკავშირო სააგენტოს საქართველოს განყოფილებამ, საქართველოს დიზაინერთა კავშირმა და საქართველოს არქიტექტორთა კავშირმა სამითვის ვადაში განსაზღვრონ კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების, სახალხო განათლების, ჯანმრთელობის დაცვის ობიექტების, სპორტული ნაეგბობების, სხვა ტიპების საზოგადოებრივი და საწარმოო შენობა-ნაეგბობების შექნებლობის, აგრეთვე საბინაო მშენებლობის განხორციელების დროს სამშენებლო-სამონტაჟო სიმუშაოთა სახარჯთაღრიცხვის საჭირო ხარჯების შეტანის წესი.

9. საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტრომ განიხილოს საქართველოს დიზაინერთა კავშირის სტრუქტურისა და მშართველობის პარატის შენახვის ხარჯთაღრიცხვის დადგენილი წესით დამტკიცების საკითხი აფხაზეთის ასს

რესპუბლიკაში, აქარის ას რესპუბლიკაში, სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ იოლქისა და ქალაქ ქუთაისში მისი ქვედანაყოფების შექმნის აუცილესობის გათვალისწინებით.

10. თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასყიმშა:

— გადასცეს დადგენილი წესით 1987 წელს სადგომები საქართველოს დიზაინერთა კავშირისა და საქართველოს სსრ დიზაინფონდის აღმინისტრაციის მოსათავებლად:

— განიხილოს თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის გასაფაროთ ებლად ლესელიძის ქუჩაზე შენობის, საგამოფენო დარბაზისა და ახალგაზრდული დიზაინერთა კავშირის შესაქმნელად სადგომის გადაცემის, აგრეთვე საქართველოს დიზაინერთა კავშირის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესაქმნელად ტერიტორიის გამოყოფის საკითხები.

11. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა გაითვალისწინოს რესპუბლიკის კუონძმიკური და სოციალური განვითარების სახელმწიფო გეგმების პროექტებში საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროსა და საქართველოს დიზაინერთა კავშირისათვის კაპიტალურ დაბანდებათა და საპროექტო-საძირკო სამუშაოთა საჭირო ლიმიტების გამოყოფა.

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრომ და საქართველოს დიზაინერთა კავშირმა გაითვალისწინონ ზემოაღნიშნულ სამუშაოთა განსხვორციელებლად საპროექტო-სახარგათალრიცხვო დოკუმენტაციის შემუშავება.

12. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა და საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტრომ განხილონ საქართველოს დიზაინერთა კავშირის სამდივნოსა და საქართველოს სსრ დიზაინფონდის გამეცობისათვის მსუბუქი ავტომობილებისა და მათი შენახვის ხარჯების შესაბამისი ლიმიტის გამოყოფის საკითხი.

13. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველობამ და საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტრომ გადაწყვიტონ საქართველოს დიზაინერთა კავშირისათვის მთავრობის ავტომატური ტელეფონის სადგურის ტელეფონის დადგმის საკითხი.

14. გაერცელდეს საქართველოს დიზაინერთა კავშირზე „საქართველოს სს რესპუბლიკაში შემოქმედებითი კავშირების საქმიანობის პირობების გაუმჯობესების შესახებ“ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1987 წლის 5 მაისის № 248 დადგენილების მოქმედება.

15. ამ დადგენილების შინაარსი გამოქვეყნდეს პრესაში.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს  
თავმჯდომარის მოადგილუ ჭ. ჩხეიძე

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს  
საქმეთა მმართველი ს. რიგვავა

**54** საქართველოს სსრ მცხოვრი მრეწველობის სამინისტროს მის ფასაცელის სამრეწველო-სავაჭრო ფირმის დროშიგითი ძალულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო აღ გე ნ ს:

1. მიღებულ იქნეს საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს წინადაღება, შეთანხმებული საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან, საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროსთან, საქართველოს სსრ ფასების სახელმწიფო კომიტეტთან და სსრ კავშირის სახბანკის საქართველოს რესპუბლიკურ კანტორასთან, ბათუმის ფეხსაცმლის სამრეწველო-სავაჭრო ფირმის დროებითი დებულების დამტების შესახებ და დამტკიცეს აღნიშნული დებულება ახალი რედაქციით.

2. ძალადყარგულად ჩითოვალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1983 წლის 1 დეკემბრის № 774 დადგენილებით დამტკიცებული დროებითი დებულება საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს ბათუმის ფეხსაცმლის სამრეწველო-სავაჭრო ფირმის შესახებ და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1985 წლის 5 ივნისის № 732 განკარგულება.

3. საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტრომ 1988 წლის პირველ კვარტალში წარმოუდგინოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ინფორმაცია სამეურნეო ექსპერიმენტის მიმდინარეობისა და ბათუმის ფეხსაცმლის სამრეწველო-სავაჭრო ფირმის 1987 წლის საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის შედეგების შესახებ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს  
თავმჯდომარე მ. ჩერქეზია

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს  
საქმეთა მმართველი ს. რიგვავა



დამტკიცებულის  
საქართველოს სსრ მინისტრის ცულენის  
1987 წლის 27 ოქტომბრის ცულენის გენერალური  
ფილატონი

### დოკუმენტი დებულება

საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს ბათუმის  
ფეხსაცმლის სამრეწველო-სავაჭრო ფირმის შესახებ

1. ბათუმის ფეხსაცმლის სამრეწველო-სავაჭრო ფირმა შექმნილია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1983 წლის 1 დეკემბრის № 774 დადგინდების საფუძველზე.

2. ეკონომიკური ექსპერიმენტი, რომელსაც ფირმა აწორცილებს ზემოაღნიშნული დადგენილების შესაბამისად, მინჯად ისახავს ახალ სახეობათა პროდუქციის დამუშავება-წარმოება-რეალიზაციის ციკლის ხანგრძლივობის შემცირების საფუძველზე გაუმჯობესებული ხარისხის სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების გადიდების გზების პრობაციას, გამოსაშეებ ნაწარმზე მოთხოვნის შესწავლის საფირმო მაღაზიების ქსელში და ითვალისწინებს ფირმის უფლებათა გაფართოებას და მუშაობის საბოლოო შედეგებისათვის ეკონომიკური დაინტერესებისა და პასუხისმგებლობის მაღლებას.

3. ეს დებულება შემუშავებულია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1983 წლის 1 დეკემბრის № 774 დადგენილებით დამტკიცებული ბათუმის ფეხსაცმლის სამრეწველო-სავაჭრო ფირმის დროებითი დებულების საფუძველზე ბათუმის ფეხსაცმლის სამრეწველო-სავაჭრო ფირმაში ეკონომიკური ექსპერიმენტის შემდგომი განვითარების შესახებ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1985 წლის 5 ივნისის № 732 განკარგულებით განსაზღვრული ძირითად მოთხოვნების და „მსუბუქ მრეწველობაში სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების დაგეგმვის, ეკონომიკური სტიმულირების გაუმჯობესებისა და მართვის სრულყოფის შესახებ“ სკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1986 წლის 24 აპრილის № 489 დადგენილების გათვალისწინებით.

4. ბათუმის ფეხსაცმლის სამრეწველო-სავაჭრო ფირმა უშუალოდ ექვემდებარება საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს.

5. ბათუმის ფეხსაცმლის სამრეწველო-სავაჭრო ფირმას ეკისრება ტყავ-ნედლეულის მიღების, გადამუშავებისა და გასაღების, ტყავეულის წარმოებისა და გასაღების, წარმოების განვითარებისა და სრულყოფის ფუნქციები მაღალხარისხოვან ფეხსაცმლზე მოსახლეობის მოთხოვნის ჩაც შეიძლება სრულად დაქმაყოფილების მიზნით და მისი ჩეალიზაცია თავისი სავაჭრო ქსელის მეშვეობით, აგრეთვე საბიუმო ვაჭრობის მეშვეობით როგორც რესპუბლიკაში, ისევე მის ფარგლებს გარეთ.

საბიოუმო რეოლოგინ ურთიერთობა განისაზღვრება მხარეთა შეთანხმებით.

6. ბათუმის ფეხსაცმლის სამრეწველო-სავაჭრო ფირმა იმყოფება სრულ სამეურნეო ანგარიშს, იქნა დამოუკიდებელი ბალანსი, არის იურიდიული პა-  
12



რი და მოქმედებს „საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის განვითარებისა ბათუმის ს. მ. კიროვის სახელობის ტყავ-ფეხსაცმლის საწარმოო გაერთიანების ბაზაზე კომპლექსური სამეცნიერო ექსპერიმენტის ჩატარების შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1983 წლის 1 დეკემბრის № 774 დადგენილების საფუძველზე.

7. ბათუმის ფეხსაცმლის სამრეწველო-სავაჭრო ფირმის შემადგენლობაში შედიან: ფეხსაცმლის ფაბრიკა, ტყავის ქარხანა ტყავნედლეულის წარმოებითურთ, საფირმო მაღაზიები.

ტყავის ქარხანა ტყავნედლეულის წარმოებითურთ სარგებლობს იურიდიული პირის უფლებით და აქეს საანგარიშსწორებო ანგარიში სსრ კავშირის სახბანეებისა და სსრ კავშირის მშენებანეების დაწესებულებებში. ფეხსაცმლის ფაბრიკასა და საფირმო მაღაზიებს აქვთ დამოუკიდებელი ბალანსი.

8. ბათუმის ფეხსაცმლის სამრეწველო-სავაჭრო ფირმის საქმიანობას საფუძველად უდევს ცენტრალიზებული ხელმძღვანელობის შეხამება თვით ფირმის სამეცნიერო დამოუკიდებლობასა და ინიციატივასთან.

9. ბათუმის ფეხსაცმლის სამრეწველო-სავაჭრო ფირმის მართვა ხორციელდება ფირმის საქმიანობისადმი ხელმძღვანელობის ყველა საკითხის განხილვასა და გადაწყვეტაში ერთმართველობისა და კოლეგიურობის სწორი შეხამების საფუძველზე.

10. ბათუმის ფეხსაცმლის სამრეწველო-სავაჭრო ფირმას სათავეში უდევს გენერალური დირექტორი, რომელსაც ნიშნავს საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტრო.

11. ბათუმის ფეხსაცმლის სამრეწველო-სავაჭრო ფირმის გენერალური დირექტორი წარმართავს მთელ მის მუშაობას და პასუხს ავებს ფირმის საქმიანობისათვის.

12. გენერალური დირექტორი მოქმედებს ბათუმის ფეხსაცმლის სამრეწველო-სავაჭრო ფირმის სახელით, წარმოადგენს მას ყველა საწარმოში, დაწესებულებასა და ორგანიზაციაში, განავებს ფირმის ქონებას, დებს ხელშეკრულებებს, გასცემს მინდობილობებს (მათ შორის სხვისთვის გადაცემის უფლებით), ხსნის ბანკებში ფირმის საანგარიშსწორებო და სხვა ანგარიშებს.

13. ბათუმის ფეხსაცმლის სამრეწველო-სავაჭრო ფირმის გენერალური დირექტორის მოადგილებს, საწარმოთა დირექტორებსა და მთავარ ბუღალტერს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტრო ფირმის გენერალური დირექტორის წარდგენით.

14. ბათუმის ფეხსაცმლის სამრეწველო-სავაჭრო ფირმის გენერალური დირექტორის მოადგილეთა და სხვა ხელმძღვანელ მუშაკთა მოვალეობებს განსაზღვრავს ფირმის გენერალური დირექტორი.

15. ბათუმის ფეხსაცმლის სამრეწველო-სავაჭრო გაერთიანების გენერალური დირექტორი განსაზღვრავს გენერალური დირექტორის მიერ დასანიშნი მუშაკების თანამდებობათა ნომენკლატურას, გამოსცემს ბრძანებებს, სამუშაო-



ზე იღებს და სამუშაოდან ათავისუფლებს ინტენსიურ მუშაქუჭუჭურდა  
მოსამსახურებს დაწესებული ნომენკლატურის ფარგლებში.

16. ბათუმის ფეხსაცმლის სამრეწველო-სავაჭრო ფირმის მუშაობისადმი  
კოლეგტური ხელმძღვანელობისა და ფირმის ინტერესებთან საწარმოო-სავაჭ-  
რო ერთეულების ინტერესების შეხამების, აგრეთვე მთლიანდ სამეურნეო  
საქმიანობის შედევებისათვის საწარმოო-სავაჭრო ერთეულების პასუხისმგებ-  
ლობის ამაღლების უზრუნველსაყოფად იქმნება ფირმის საბჭო. ფირმის საბჭოს  
სათავეში უდგას ფირმის გენერალური დირექტორი. ფირმის საბჭოში შედიან  
გენერალური დირექტორის მოადგილები — სამსახურების, საწარმოო-სავაჭ-  
რო ერთეულების (ფილიალების) დირექტორები, აგრეთვე ფირმის საზოგადო-  
ებრივ ორგანიზაციათა წარმომადგენლები.

საჭირო შემთხვევებში ფირმის საბჭოს მუშაობაში მონაწილეობისათვის  
მიიწვევიან სპეციალისტები, ფირმის ხელმძღვანელი მუშაქები, წარმოებისა  
და ვაჭრობის მოწინავენი, აგრეთვე სხვა საწარმოთა, ორგანიზაციათა და და-  
წესებულებათა წარმომადგენლები.

17. ფირმის საბჭო განიხილავს:

— ფირმის განვითარების პერსპექტიული და მიმღინარე გეგმების პრო-  
ეტებს;

— ანგარიშებს ფირმის, მისი საწარმოო და სავაჭრო ერთეულების სა-  
წარმოო-საფინანსო საქმიანობის შესახებ;

— სამეურნეო ხელშეკრულებათა დადებისა და შესრულების საკითხებს;

— ტექნიკური პროგრესის უზრუნველყოფის საკითხებს;

— კაპიტალურ დაბანდურებათა ეფექტურობის ამაღლების, საპროექტო  
სიმძლავრეთა თვეისტის დაჩქარების საკითხებს;

— სახალხო მოხმარების საქონლის საბითუმო და საცალო ფასების  
პროექტებს;

— შრომისა და წარმოების მეცნიერული ორგანიზაციის, შრომის ნორ-  
მირების, შრომის ანზღაურების, მატერიალური წახალისების ფორმისა და  
სისტემის საკითხებს;

სოციალისტური შეჯიბრების ორგანიზაციისა და განვითარების საკითხებს;

— ფართო მოხმარების ფონდების შექმნის, განაწილებისა და გამოყენე-  
ბის საკითხებს;

— სხვა ტექნიკურ-ეკონომიკურ მახასიათებლებს და იღებს მათ გამო  
გადაწყვეტილებებს.

18. ფირმის საბჭოს გადაწყვეტილებანი ხორციელდება გენერალური დი-  
რექტორის ბრძანებით. საბჭოს სხდომაზე განხილულ საკითხთა გამო გენერა-  
ლურ დირექტორსა და ფირმის საბჭოს შორის უთანხმოების შემთხვევაში გე-  
ნერალური დირექტორი ახორციელებს თავის გადაწყვეტილებას და ამის შე-  
სახებ აცნობებს საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს.

19. ბათუმის ფეხსაცმლის სამრეწველო-სავაჭრო ფირმის სავაჭრო ერთეუ-  
ლებს სათავეში უდგანან დირექტორები, რომლებსაც ნიშნავს და ათავისუფ-  
ლებს ფირმის გენერალური დირექტორი.

20. ბათუმის ფეხსაცმლის სამრეწველო-სავაჭრო ფირმის საწარმოში და სავაჭრო ერთეულების (ფილიალების) დირექტორები წარმართავენ მიზნების საქმიანობას და პასუხს ავებენ ფირმის ხელმძღვანელობის წინაშე ამ ერთეულების საქმიანობისათვის.

21. ბათუმის ფეხსაცმლის სამრეწველო-სავაჭრო ფირმის აღმინისტრაცია საწარმოო-სავაჭრო ერთეულების ხელმძღვანელობასთან, პარტიულ, პროფ-კავშირულ და კომკავშირულ ორგანიზაციებთან ერთად მოაწყობს სოციალისტურ შეჯიბრებას, შეაჯამებს მის შედეგებს, განსაზღვრავს სოციალისტურ შეჯიბრების გამარჯვებულებს, წყვეტს მოწინავე კოლექტივებისა და მუშავთაწალისების საკითხებს.

22. ბათუმის ფეხსაცმლის სამრეწველო-სავაჭრო ფირმისა და ფირმაში შემავალი საწარმოო-სავაჭრო ერთეულების კოლექტიური ხელშეკრულებანი დაიდება სავაჭმირო პროფსაბჭოს და სსრ კავშირის შრომისა და სოციალურ საკითხთა სახელმწიფო კომიტეტის მიერ განსაზღვრული წესით.

23. ბათუმის ფეხსაცმლის სამრეწველო-სავაჭრო ფირმის ქონება შედგება ძირითადი და საბრუნავი სახსრებისაგან, რომლებიც ქმნიან მის საწესდებო ფონდს, აგრეთვე ფირმისათვის მიჩნიალი და მის დამოუკიდებელ ბალანსზე ასახული ფონდებისა და სხვა ქონებისაგან.

24. ბათუმის ფეხსაცმლის სამრეწველო-სავაჭრო ფირმა ქმნის სსრ კავშირის კანონმდებლობისა და ამ დებულების შესაბამისად კონიუნქტურულ ფონდს, ხელფასის, ეკონომიკური სტიმულირებისა და კომერციული ხარჯების, საამორტიზაციო ანარიცების და სხვა ფონდებს.

25. საბოლოო შედეგის მიღწევით კოლექტიური დაინტერესების ამაღლების მიზნით ფირმას უწესდება დროებითი ხელფასის ფონდის ნორმატივი სარეალიზაციო პროცესურის 1 მანეთზე (საწარმოს შესაღარ საბიოუმო ფასებში) 17 კპეიის ოდენობით.

26. აღნიშნული ნორმატივის საფუძველზე ფირმა შეიმუშავებს დიფერენცირებულ ნორმატივებს საწარმოო ერთეულებისა და სხვა სტრუქტურული ქვედანაყოფებისათვის, უზრუნველყოფს შრომის ნაყოფიერების ზრდის წინმსწრებ ტემპს საშუალო ხელფასის ზრდასთან შედარებით.

27. ბიუჯეტში გადასახდელთა სისტემა იქმნება ბრუნვის გადასახდისაგან, ძირითადი საწარმოო ფონდებისა და ნორმირებადი საბრუნავი სახსრების გადასახდელებისა და წყლის გადასახდელისაგან.

ბრუნვის გადასახდის საერთო მოცულობა დაირიცხება ნორმის მიხედვით სახალხო მოხმარების საქონლის რეალიზაციის დასაბეგრი მოცულობის 20 პროცენტის ოდენობით (ფირმის ფასებში). ბრუნვის გადასახდის ნორმას პროდუქციის კონკრეტულ სახეობათა მიხედვით განსაზღვრავს ფირმის ხელმძღვანელობა. ბრუნვის გადასახდის თანხა, რომელიც ბიუჯეტში შეაქვთ უშუალოდ ფირმას, გამოიანგარიშება სახალხო მოხმარების საქონლის რეალიზაციის დასაბეგრი მოცულობის პროცენტული თანაფარდობით (20 პროცენტი) სავაჭრო ორგანიზაციებთან და საკუთარ საფირმო მაღაზიებთან დადებული პირდაპირი ხელშეკრულებების მიხედვით.

ძირითადი საქართველო ფონდების, ნორმირებადი საბრუნველი სახელმწიფო გადასახდელი და წყლის გადასახდელი ბიუჯეტში შეიტანება დალგუნისტური მოწყეტილები.

28. ფირმა შეიმუშავებს და დაამტკიცებს კაპიტალური და აღდგენითი რემონტის გეგმას, წარუდგენს მას ზემდგომ ორგანიზაციასა და ბანკს დაფინანსების გასახსნელად.

29. ბათუმის ცენტრალური სამრეწველო-სავაჭრო ფირმას უფლება აქვა:

— განსაზღვროს რაოდენობრივი და საპორტულო გეგმა, წარმოების და რეალიზაციის გეგმა ღირებულებით გამოხატულებით და სხვა მაჩვენებლები საკონტროლო კითხრებისა და ვაჭრობის შეკვეთების საფუძველზე;

— დაწესოს ფირმის ფასები სახალხო მოხმარების წარმოებულ საქმი-ნელზე სიახლის, მოდის მიმართულების, მოთხოვნისა და მიწოდების ონაფარ-დობის შესაბამისად და შეამციროს ეს ფასები საჭიროების კვალობასე ბაზ-რის კონიუნქტურის ცვლილებასთან დაკავშირებით;

— დაწესოს მუშავთა რიცხოვნობა, შესასრულებელ სამუშაოთა ფასდებანი, გამომუშავების ნორმები, მატერიალური წახალისების ოდენობა და ხელფასის განვევთები;

— განსაზღვროს ფირმის კონიუნქტურული ფონდის ნორმატივი ფაქტიური გაანგარიშებული მოგების 1 მანეთზე (საბალანსო მოგება, რომელიც რჩება ძირითადი საწარმოო ფონდებისა და ნორმირებადი საბრუნავი სახსრების გადასახდელის ბიუჯეტში შეტანის, სსრ კავშირის სახპანკის ქრედიტებისათვის პროცენტების გადახდის შემდეგ).

ფირმის კონისტრუქტული ფონდის სახსრები შეიძლება გამოყენებულ იქნეს ზარალის, დანაკარგების დასაფარავად, აგრეთვე მყიდველთა მიერ ანგარიშების არადროული ანაზღაურებითა და პროდუქციის რეალიზაციის სეზონური ხასიათით განპირობებული დროებითი საჭიროებისათვის, მათ შორის ხელფასის ხარჯების დასაფინანსებლად და სხვა გაუთვალისწინებელი ხარჯებისათვის;

— დაწესოს საწარმოების, სამქროების, პრიგადების, უბნების, მართველობის პარატის ქვედანაყოფების მიხედვით ხელფასის, მატერიალურა წახალისების, სოციალურ-კულტურული ღონისძიებების ფონდისა და სხვა დაფურენცირებული ნორმატივები მთლიანად ფირმის შესაბამისი ფონდების 1 მანეთზე;

— ისარგებლოს ბანკის ყველა კრედიტით მოქმედი დებულების თანახ-  
მად, როგორც სამრეწველო გაერთიანებამ და სავაჭრო ორგანიზაციამ;

— დაამტკიცოს ახალ სახეობათა გამოსაშევები ფეხსაცმლის ტექნიკური პირობები;

— დაუქეითოს წუნდებული პროდუქციის გამოშვებისათვის, ნედლეულა-  
სა და მასალების გადახარჯვისათვის, სატრანსპორტო საშუალებათა მოცულ-  
ნისათვის მატერიალური პასუხისმგებლობის დებულების თანახმად მიყენებუ-  
ლი ზარალის ღირებულება ფირმის მუშაკებს (ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკებს,  
მოსამსახურებსა და მუშებს), რომელთა მიზანითაც დაშვებულია ზარალი;

— მიიღოს სსრ კავშირის საგარეო კავკასიის ბანქში სავალუტო კუნძულის  
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ან სსრ კავშირის მსუბუქი მრჩეველობის  
ბის სამინისტროს გარანტით;

— გაასაღოს თავისი პროდუქტია ვალუტაზე საგარეო კავკასიის ორგანიზაციებთან დადგენალ ხელშეკრულებათა მიხედვით, დადგენილი წესით;

— გამოყოს ზემდგომი ორგანიზაციების დაუმტკიცებლად საამორტიზაციო ანარიცების ფონდიდან, ეკონომიკური სტიმულირებისა და მიმდინარე კომერციული ხარჯების ფონდიდან სახსრები ფირმის საჭიროებისათვის ავეჯისა და მცირეთასიანი ინვენტარის შესაქნად;

— კონიუნქტურული ფონდის შექმნის შემდევ დარჩენილი ფაქტიური განვიარებული მოვაბის მთელი თანხა შეიტანოს ეკონომიკური სტიმულირებისა და მიმდინარე კომერციული ხარჯების ფონდში და განსაზღვროს ამ ფონდიდან გასაცემი თანხების ხარჯების სტრუქტურა და ოდენობა (მატერიალური წახალისება, სოციალურ-კულტურული ონისისძებანი და საბინაო მშენებლობა, წარმოების განვითარება და სხვა მიზნები).

ეკონომიკური სტიმულირებისა და მიმდინარე კომერციული ხარჯების ფონდის სახსრები შეიძლება მოხმარდეს დაზოგილი ნედლეულისა და მასალების ღირებულების მიცემას ფირმის მუშავებისათვის ფირმის შექმნავებული და დამტკიცებული დებულების თანახმად, ფირმის სპეციალისტთა გავზიანს გამოცდილების გასაზიარებლად სოციალისტურ ქვეყნებში, განსაკუთრებით წარჩინებულ ცალკეულ მუშავთა და სპეციალური დავალებების შემსრულებელ მუშავთა პრემირებას, მაღალკალიფიური მუშავებისათვის დანამატების დაწესებას სტაციის გამო, პროფესიურულ ორგანიზაციებთან შეთანხმებით მოწინავე მუშავებისა და პენსიონერებისათვის სანატორიუმების, დასასენინებელი სახლების, პანსიონატების, ტურისტული ბაზებისა და საზღვარგარეთ წასასვლელი საგზურების ღირებულების ანაზღაურებას, ფირმის მუშავთათვის სასადილოში უფასო კვებას, აგრეთვე საბაჟშეო ბავშვებსა და საბავშვო ბალებში მუშავთა შეილების უფასო მოვლა-შენახვას, სარკელამო სამუშაოთა ჩატარებას, დამტკიცებული ხარჯთაღრიცხვის მიხედვით წარმომადგენლობითი მიზნებისათვის (დელგაციების, სტუმრების შეხვედრა და ა. შ.) ხარჯების დაფარვას, ქვეყნის სხვა ქალაქებსა და რაიონებში მუშავთა მივლინებას ფირმის საქმიანობასთან დაკავშირებულ საკითხებზე, საზოგადოებრივი და სოციალურ-კულტურული ორგანიზაციებისათვის სახსრების უსასყიდლოდ მიცემას იმ მანქანების, ჩატარების, ხელსაწყოებისა და მოწყობილობის შესაძნად, რომლებიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს სასწავლო მიზნებისათვის, აგრეთვე შენობა-ნაგებობათა მშენებლობისა და რემონტის, სკოლამდელი დაწესებულებებისა და ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების, უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლების, კვალიფიციაციის ასამაღლებელი ინსტიტუტების აღჭურვის ხარჯებს, პრიზების შექნას სოციალისტური შეჯიბრების გმარჯვებულთა და მუშაობაში განსაკუთრებით წარჩინებულთა წასახლისებლად ამ საკითხზე შემუშავებული დებულების თანახმად, პროფესიულ ორგანიზაციებთან შეთანხმებით სახსრების გადახდას მოწვეული სპეციალისტებისათვის



საცხოვრებელი ფართობის დაქირავების გამო და უმაღლეს დაკავშირებულ სპეციალურ სასწავლებლებში სასწავლებლად გაგზავნილი მოწინავე მუშები-სათვის სტიპენდიების მიცემას და ამ სტიპენდიების გადიდებას პროფესიონულ ორგანიზაციასთან შეთანხმებით, კაპიტალური მშენებლობის დაფინანსებას;

— შეიმუშაოს და დაამტკიცოს დებულება ეკონომიკური სტიმულირებისა და მიმღინარე კომერციული ხარჯების ფონდის სახსრებით ინჟინერ-ტექნიკურ მუშაყთა, მოსამსახურეთა და მუშათა პრემირების შესახებ. პრემიის ოდენობა უმუალოდ უნდა იყოს დამოკიდებული თითოეული მუშაკის შრომის რაოდენობასა და ხარისხზე და უზრუნველყოფდეს მუშაობის საუკეთესო საბოლოო შედეგებს; ეკონომიკური სტიმულირებისა და მიმღინარე კომერციული ხარჯების ფონდიდან გასაცემი პრემიის ოდენობა არ იზლუდება; ეკონომიკური სტიმულირებისა და მიმღინარე კომერციული ხარჯების ფონდის სახსრები შეიძლება მოხმარდეს სხვა მისნებსაც;

— დაუდოს ცალკეულ ორგანიზაციებს ან პირებს ხელშეკრულებანი ახალ სახეობათა ნაკრებებისა და მოწყობილობის მიწოდების თაობაზე მეცნიერულ-ტექნიკურ სამუშაოთა განსახორციელებლად; აღნიშნული ნაკრებებისა და მოწყობილობის დადგმესთან და მონტაჟისა და გამართვის სამუშაოთა განხორციელებასთან დაკავშირებული სათანადო მომსახურების გასაწევად ფირმის მიერ გამოყოფილი სახსრების ფარგლებში;

— გახსნას საცალო გატრობის საფირმო მაღაზიები საქართველოს სსრ უცელა ქალაქება და რაიონში, აგრეთვე ივაჭროს მოძრავი იეტოფარლულების გამოყენებით საქართველოს სსრ მთელ ტერიტორიაზე;

— დაამტკიცოს სარემონტო-აღდგენით სამუშაოთა ხარჯთაღრიცხვები და ხელფასის ფონდი საამორტიზაციო ანარიცხების ფარგლებში, თვითონ აწარმოოს სარემონტო და აღდგენითი სამუშაოები ან დაუდოს ხელშეკრულებანი ამ სამუშაოთა საწარმოებლად სარემონტო-სამშენებლო ორგანიზაციებს;

— ავოს საამორტიზაციო ანარიცხების ხარჯზე ახალი დამხმარე სადგომები, ნაცელად ამორტიზებულისა, რომელთა რემონტი მიზანშეუწონელია.

ფირმა შეიმუშავებს და დაამტკიცებს ზემოაღნიშნულ სამუშაოთა საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო ღოკუმენტაციას, დაწესებს მათვის ხელფასის ფონდებს და წარუდგენს ბანქს დაფინანსების გასახსნელად;

— ზემდგომი ორგანიზაციების მიერ ლამიტის დაუმტკიცებლად შეიძინოს ახალი მოწყობილობა საამორტიზაციო ანარიცხების და ეკონომიკური სტიმულირებისა და მიმღინარე კომერციული ხარჯების ფონდის ანგარიშში;

— შეიძინოს ახალი მოწყობილობა და სატრანსპორტო საშუალებანი მოწყობილობისა და სატრანსპორტო საშუალებათა კაპიტალური რემონტის ფონდის და ეკონომიკური სტიმულირებისა და მიმღინარე კომერციული ხარჯების ფონდის ანგარიშში.

30. ბათუმის ფეხსაცმლის სამრეწველო-სავაჭრო ფირმა ქმნის სამხატვრო საბჭოს.

31. სამხატვრო საბჭო იქმნება ფირმის გენერალური დირექტორის ბრძანებით.



32. ბათუმის ფეხსაცმლის სამრეწველო-სავაჭრო ფირმა განცილების და მიტკიცებს საკუთარი საბრუნავი სახსრების ნორმატივებს ელექტრობის შინედვით.

33. ბათუმის ფეხსაცმლის სამრეწველო-სავაჭრო ფირმა შეიმუშავებს სახარჯთაღრიცხვო-საფინანსო გაანგარიშებებს და ასანაზღაურებელი დანახარჯების გაანგარიშებებს, ხოლო ბანკი გასცემს კრედიტებს ახალი ტექნიკისა და ახალი მსალების შექმნისა და დანერგვის, წარმოების მექანიზაციისა და ავტომატიზაციის, მოწყობილობის მოდერნიზაციის, წარმოების ტექნოლოგიის გაუმჯობესების, სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების გაფართოების ორგანიზაციისა და სხვა ღონისძიებათა განსახორციელებლად.

ოლიშენულ გაანგარიშებებს ამტკიცებს ფირმის გენერალური დირექტორი და წარუდგენს სახელმწიფო ბანკს დაფინანსების გასახსნელად.

34. ზემდგომი ორგანიზაციები ყოველწლიურად გამოყოფენ ბათუმის ფეხსაცმლის სამრეწველო-სავაჭრო ფირმის მუშავთათვის კოოპერაციული საცხოვრებელი სახლების ასაშენებლად ლიმიტებს ფირმის სოციალურ-კულტურული ღონისძიებებისა და საბინაო მშენებლობის ფონდის სახსრების ფარგლებში.

პირველი შესატანი კოოპერაციული სახლების ასაშენებლად შეაქეთ ფირმის მუშავებს.

ფირმას უფლება აქვს შეიტანოს მომდევნო შესატანები ფირმის მოწინავე მუშავებისათვის ეკონომიკური სტიმულირებისა და მიმღინარე კომერციული ხარჯების ფონდის სახსრებიდან.

35. ბათუმის ფეხსაცმლის სამრეწველო-სავაჭრო ფირმა და მისი საწარმოები ახორციელებენ საბუღალტრო, ოპერატიულ და სტატისტიკურ აღრიცხვას დადგენილი წესით, დაწესებულ ვადებში შეადგენენ და წარუდგენენ შესაბამის ორგანოებს ანგარიშებას ფირმის ყოველგვარი საწარმო-სამეურნეო საქმიანობის შესახებ დამტკიცებული ფორმების მიხედვით, პასუხს ავებინ მიხი უტყუარობისათვის.

36. ბათუმის ფეხსაცმლის სამრეწველო-სავაჭრო ფირმის საწარმოო და საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის რევიზიას ატარებს საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტრო დაინტერესებული ორგანიზაციების მონაწილეობით წელიწადში ერთხელ.

37. ბათუმის ფეხსაცმლის სამრეწველო-სავაჭრო ფირმის საქმიანობას ამოწმებენ საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტრო და სახალხო კონტროლის ორგანოები, აგრეთვე შეიძლება შეამოწმონ სხვა სახელმწიფო ორგანოებმა საწარმოთა და ორგანიზაციათა საქმიანობისადმი კონტროლის ხაზით მათთვის მოქმედი კანონმდებლობით დაკისრებული ფუნქციების შესაბამისად.

38. ბათუმის ფეხსაცმლის სამრეწველო-სავაჭრო ფირმის საქმიანობა ფასდება მიწოდების სახელშექრულებო ვალდებულებათა, საცალო საქონელბრუნვის, მოვალეობისა და ნატურალური გამოხატულებით პროდუქციის გამოშევების გეგმების შესრულების მაჩვენებლების მიხედვით.



39. ბათუმის ფეხსაცმლის სამრეწველო-სავაჭრო ფირმა, ამ გათვალისწინებული უფლებების გარდა, სარგებლობს სამრეწველო გაერთიანების შესახებ მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებებით.

40. ბათუმის ფეხსაცმლის სამრეწველო-სავაჭრო ფირმის რეორგანიზაცია ჩდება საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს კოლეგიის გადაწყვეტილებით.

41. ბათუმის ფეხსაცმლის სამრეწველო-სავაჭრო ფირმის ლიკვიდაცია ხდება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილებით.

42. ბათუმის ფეხსაცმლის სამრეწველო-სავაჭრო ფირმას აქვს ბეჭედი, რომელზეც გამოსახულია საქართველოს სსრ სახელმწიფო გერბი და ოლნიშნულია მისი დასახელება.

**СОБРАНИЕ ПОСТАНОВЛЕНИЙ ПРАВИТЕЛЬСТВА  
ГРУЗИНСКОЙ ССР**

№ 5, 1987 წელი

---

გამოცემის დასაბეჭდის სახ იუსტიციის სამინისტრო

---

ხელმოწერილი დასაბეჭდის 18/I-88 წ. ქაღალდის ზომა  $70 \times 108^1/16$ .  
საბეჭდი თაბახი 11,5, საღრიცხვო თაბახი 11,5.

წლიური ხელმოწერის ფასი 3 მან.